აჭარა

www.gazetiajara.ge

გამოცემის 102-ე წელი

გამოდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№33 (24.913) სამშაბათი, 5 - 6 აპრილი, 2022 წ. 50 თეთრი

გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

დღეს მოსალოდნელია დროგამოშვებით წვიმა, უნალექოდ, ცვალებადი მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 18-23, შიდამთიან რაიონებში - 13-18, მაღალ მთაში - 5-10 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 11 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 760 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს მოსალოდნელია დროგამოშვებით წვიმა.

ირაკლი ღარიბაშვილი: აღარ მინდა, პატიმრებზე ვისაუბრო, ახლა ჩვენ საქმეზე უნდა ველაპარაკოთ ხალხს

„დავიწყე სიარული რეგიონებში, რომ პირადად გავეცნო პროგრესს, როგორ მიმდინარეობს სამუშაოები, როგორ ხორციელდება პროექტები, ვხვდები მოსახლეობას. ჩვენი მთავარი მიზანი უნდა იყოს განვითარების ტემპების აჩქარება მთელი ქვეყნის მასშტაბით და სწორედ ამ მიზანს ემსახურება დღევანდელი ვიზიტი აჭარაში“, - ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა 3 აპრილს აჭარაში სტუმრობისას განაცხადა

თავდაპირველად პრემიერმა სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში შექმნილი მეურნეობები მოინახულა. აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიუკაძესთან, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრ ლევან დავითაშვილთან, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრ ირაკლი ქარსელაძესთან და საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროს ლერი ბარნაბიშვილთან ერთად, ქედაში მშრალი ხილის საწარმო „კერკის“ მუშაობას გაეცნო, საწარმოს მფლობელებს და დასაქმებულებს გაესაუბრა. „კერკი“ ხუთი სახეობის პროდუქციას - ჩირს, ტყლაპს, ჩურჩხელას, ცუკატს და თხილეულს აწარმოებს. საწარმო 2021 წელს ამოქმედდა სოფლის განვითარების სააგენტოს, აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, აგროსერვისცენტრის, ევროკავშირის, USAID-ის და „თიბისი ბანკის“ მხარდაჭერით. საწარმოს ინვესტიციის სრული მოცულობა 750 000 აშშ დოლარია, დასაქმებულია 30-ზე მეტი ადგილობრივი.

როგორც პრემიერმა აღნიშნა, მსგავსი საწარმოების არსებობა მნიშვნელოვანია როგორც ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების, ასევე ადგილზე წარმოების განვითარების თვალსაზრისით.

ირაკლი ღარიბაშვილი ქედაში, თანმხლებ პირებთან ერთად, გორგაძეების ოჯახსაც ესტუმრა და სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში მოწყობილი საფუტკრე მეურნეობა დაათვალიერა. მას თემურ გორგაძემ უმასპინძლა და საკუთარი საოჯახო მეურნეობის შესახებ ინფორმაცია მიაწოდა. როგორც მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, მეფუტკრეობის განვითარება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგია, რადგან ამ მიმართულებით საქართველოს დიდი პოტენციალი აქვს.

ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ძენწმანში პრემიერმა ადგილობრივი ფერმერის მერაბ სურმანიძის ვაზის სანერგე მეურნეობა დაათვალიერა. სურმანიძეების ოჯახმა სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ჩხავერის და ცოლიკაურის ჯიშის ვენახები 750 ჰექტარზე გააშენა. ამჟამად ფერმერი წელიწადში 7 ტონაზე მეტ ყურძენს იღებს. როგორც ირაკლი ღარიბაშვილმა აღნიშნა, სახელმწიფოს მიერ განხორციელებული სოფლის მეურნეობის პროგრამები ხელს უწყობს საქართველოში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწების ეფექტიან გამოყენებას და იმპორტირებული პროდუქციის ქართულით ჩანაცვლებას.

პრემიერი ჩაქვში მშენებარე ძალოსნობის ბაზითაც დაინტერესდა. შენობის სამივე სართულის მშენებლობა უკვე დასრულებულია. პროექტი სრულად ამა წლის ბოლოს ჩაბარდება. ძალოსნობის ბაზის მშენებლობა აჭარის მთავრობის ბიუჯეტიდან დაფინანსდა. პროექტის ღირებულება 4,5 მლნ ლარია.

პრემიერ-მინისტრის ინიციატივით დაწყებული პროგრამის „განახლებული რეგიონები“ ფარგლებში ქობულეთში სანაპირო ზოლი კეთილეწყობა. სამუშაოების მიმდინარეობას პრემიერი გაეცნო. ახალი ბულვარი პირველ ეტაპზე დაახლოებით 1-კილომეტრიანი იქნება, შემდგომში კი ბობოყვათამდე გაგრძელდება, მოეწყობა ველობილიკები, საფეხმავლო ბილიკის მიმდებარედ გათვალისწინებულია კომერციული ზონების, რეკრეაციული, საბავშვო და სპორტული ზონების მოწყობა ატრაქციონებითა და პლაჟის ფეხბურთის მოედნით. რეაბილიტირებულ სივრცეში ექნება ადაპტირებული სანიტარული კვანძები, ხოლო ძველ ბულვართან დასაკავშირებლად აშენდება საფეხმავლო ხიდი.

ქობულეთის სანაპირო ზოლის რეაბილიტაციისა და კეთილმოწყობის სამუშაოების ღირებულება 7 600 000 ლარია. პროექტის განხორციელება 2021 წლის ივნისში დაიწყო და მიმდინარე წლის ბოლომდე დასრულდება.

პროგრამით „განახლებული რეგიონები“ დაფინანსებულ პროექტებზე სამუშაოები ბათუმსა და აჭარის ყველა მუნიციპალიტეტში მიმდინარეობს. აჭარის რეგიონის სახელმწიფო ბიუჯეტიდან 20 მილიონი ლარია ამ პროექტებისათვის გამოყოფილი.

„კეთილმოეწყობა ეს არეალი და ვფიქრობ, იქნება ახალი მიმართულება ტურისტული თვალსაზრისით. მოსახლეობისთვის ძალიან მნიშვნელოვანია აღნიშნული ტერიტორიის კეთილმოწყობა. ამას გარდა, ყველა მუნიციპალიტეტში მიმდინარეობს აქტიური სამუშაოები, რომლებიც უკავშირდება ურბანული განახლების პროექტებს. ესენიც მაქსიმალურად დაჩქარდება, ვინაიდან ამინდმა ზოგიერთ მუნიციპალიტეტში სამუშაოების ტემპს ხელი შეუშალა“, - აღნიშნა პრემიერმა.

ირაკლი ღარიბაშვილმა ქობულეთში ჟურნალისტთა შეკითხვებსაც უპასუხა და მას შემდეგ, რაც სტრასბურგის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლომ მიხეილ სააკაშვილის საჩივარი განსახილველ საქმეთა სიიდან ამოიღო, ამ თემაზე კომენტარი პირველად გააკეთა: „დადასტურდა, რომ ყველაფერი ხდება კანონის შესაბამისად. აღარ მინდა, რომ პატიმრებზე ვისაუბრო, ძალიან ბევრი გვაქვს ნათქვამი. ახლა ჩვენ საქმეზე უნდა ველაპარაკოთ ხალხს“.

რუსეთის მიმართ სანქციების არდაწესებასთან დაკავშირებულ შეკითხვას კი პრემიერმა ასე უპასუხა: „პირველივე დღეს, შემდეგაც, დღესაც და ხვალაც, ყოველთვის, ყველგან ვიმოქმედებ ჩვენი ქვეყნის, ჩვენი ხალხის ინტერესების შესაბამისად და ამ გადაწყვეტილებას ვერავინ შემაცვლევინებს... რაც არის მისაღები

იხ. გვ-6 გვ.

კრიალოსა N იუსი

საქართველოს მთავრობამ ეკონომიკური ზრდისა და საჯარო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით აქტიური მუშაობა დაიწყო, - ამის შესახებ მთავრობის სხდომაზე პრემიერ-მინისტრმა განაცხადა. ირაკლი ღარიბაშვილის თქმით, პროექტების განხორციელების ფარგლებში ათასობით სამუშაო ადგილი შეიქმნება. „ყველა სამინისტრომ უკვე გამოგზავნა იმ ობიექტების ნუსხა, რომლებიც ასაშენებელი იქნება ან მოექცევა რეაბილიტაციის რეჟიმში. საკმაოდ მასშტაბური მოცულობა მივიღეთ, დაახლოებით მილიარდ 500 მილიონიდან 2 მილიარდამდე. პროექტები წარმოადგინეს ისეთმა უწყებებმა, როგორიცაა თავდაცვა, ჯანდაცვა, განათლება, ინფრასტრუქტურა, სოფლის მეურნეობა, - აღნიშნა პრემიერმა.

* * *

ვიცე-პრემიერი და საგარეო საქმეთა მინისტრი დავით ზალკალიანი დაინიშნა საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად ამერიკის შეერთებულ შტატებში. როგორც პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის ადმინისტრაციაში გუშინ გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, საგარეო საქმეთა მინისტრად ილია დარჩიაშვილი დაინიშნა, რომელიც აქამდე მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი იყო.

* * *

რთულია, მოიძებნოს სიტყვები, რომლებიც ბუჩაში, ირპენში და უკრაინის სხვა ქალაქებში არსებული მძიმე სურათების ხილვისას დაუფლებულ ემოციას აღწერს, - განაცხადა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ბიუროს სხდომაზე, სადაც უკრაინაში რუსული სამხედრო აგრესიის შედეგად დაღუპულთა ხსოვნას წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს. „პარლამენტის სახელით, მივმართავ ყველა საერთაშორისო ორგანიზაციას, ჩავიდნენ ადგილზე, თავად გამოიკვლიონ, გამოიძიონ, შეისწავლონ და შესაბამისი პასუხისმგებლობა დააყენონ ყველა იმ ადამიანის, ვინც ასეთი სისასტიკის ავტორია“, - განაცხადა შალვა პაპუაშვილმა.

* * *

ამ არჩევნებმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ საქართველოში სიცრუე, სიყალბე, ღალატი, „ომის პარტია“, მეხუთე კოლონა ვერასოდეს გაიმარჯვებს და ყოველთვის მძიმედ დამარცხდება, - განაცხადა „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ პარტიის ოფისში გუშინ გამართულ ბრიფინგზე. ირაკლი კობახიძემ რუსთავში, გარდაბანსა და ბათუმში გამართული შუალედური არჩევნების შედეგებზე ისაუბრა და მადლობა გადაუხადა ამომრჩეველს მხარდაჭერისთვის. 2 აპრილს გამართულ შუალედურ არჩევნებში ირაკლი შატაკიშვილმა ხმების 90,1%, ხოლო რამაზ ჯინჭარაძემ 69% მიიღო.

მოამზადა
ია შველიძემ

სოსო მანჯავიძე: თავისი მასშტაბით, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, დონბასის ფრონტზე უპრეცედენტო საბრძოლო მოქმედებებია მოსალოდნელი

3

ბათუმის საკრებულოს შუალედურ არჩევნებში რამაზ ჯინჭარაძემ გაიმარჯვა

4

თავიდან რომ დაბადებულიყო, ისევ მედეა ჩარკვიანი იქნებოდა

5

ახალი ინიციატივა – რეგიონებში მომუშავე ექიმების ჩართულობით

ნაირა შუტკარაძე 27 48 93

გაეროს ბავშვთა ფონდმა, საქართველოს სამედიცინო ასოციაციების გაერთიანებასთან ერთად, რეგიონებში მომუშავე ექიმების ჩართულობით, ახალი ინიციატივის განხორციელება დაიწყო, რომლის მიზანია საქართველოში იმუნიზაციის მაჩვენებლების გაზრდა

ინიციატივის ფარგლებში, ჯანდაცვის სფეროს 3000-მდე წარმომადგენელი, მათ შორის, ოჯახის ექიმები, სოფლის ექიმები, პედიატრები და ზოგადი პროფილის ექიმები მიიღებენ უახლეს ინფორმაციას კოვიდ-19-ის ვაქცინაციისა და, ზოგადად, იმუნიზაციის შესახებ.

პირველი შეხვედრა, აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან თანამშრომლობით, აჭარის სამედიცინის სფეროს წარმომადგენლებთან გაიმართა. დისკუსიაში მონაწილეობა მიიღო მინისტრმა ნინო ნიჟარაძემ და მინისტრის მოადგილე მარი ზანაქიძემ.

ინიციატივის ფარგლებში, საქართველოს ცხრა რეგიონის ექიმები მიიღებენ ინფორმაციას ვაქცინაციის მტკიცებულებაზე დაფუძნებული კლინიკური ასპექტების (მათ შორის კოვიდ-19-ის ვაქცინის) შესახებ და გაივლიან ტრენინგს ინტერპერსონალური კომუნიკაციის უნარ-ჩვევებსა და მიდგომებში. შეხვედრას უძღვებიან სამედიცინო და საზოგადოების ჯანდაცვის სფეროს ცნობილი ექსპერტები.

ინიციატივის მხარდამჭერები არიან საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო და დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრი.

ქედამ აჭარის ჩემპიონატს უმასპინძლა

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

აჭარის ქართული ჭიდაობის ფედერაციას პანდემიის პერიოდშიც კი არ შეუწყვეტია ქართულ ჭიდაობაში სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში ჩემპიონატების, სახელობითი და ხსოვნის ტურნირების გამართვა

როგორც ფედერაციაში აცხადებენ, მიმდინარე წელი უფრო დატვირთული იქნება. სამ ასაკობრივ ჯგუფში აჭარის პიროველობა გაიმართება. წელს პირველად ვასილ გაროზაშვილის ხსოვნის ტურნირს ქობულეთი უმასპინძლებს, რომელშიც საქართველოს წარმომადგენლებთან ერთად 4 უცხოური ქვეყანა მონაწილეობას აპირებს. ეს საერთაშორისო ტურნირი 3 დღეს გასტანს.

2005-2007 წლებში დაბადებული ჭაბუკები მონაწილეობდნენ ქედაში გამართულ აჭარის ჩემპიონატში. მონაწილეებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს უკრაინაში დაღუპულთა ხსოვნას. სპორტსმენებს მიესალმნენ აჭარის ქართული ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი ჯემალ წულუკიძე, ვიცე-პრეზიდენტი აკაკი მახარაძე, ნაკრების მთავარი მწვრთნელი გელა ზოიძე.

თებერვალში დაბადებიდან 60 წელი შეუსრულდა მწერალს, ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტ აკაკი მახარაძეს. მას მრავალწლიანი ნაყოფიერი მუშაობისთვის ფედერაციის სახელით საპატიო სიგელი ჯემალ წულუკიძემ გადასცა.

8 წონით კატეგორიაში საპრიზო ადგილისთვის 60-ზე მეტი სპორტსმენი იბრძოდა. თავიანთ წონით კატეგორიებში აჭარის ჩემპიონები გახდნენ ლაშა გაბედვა (ბათუმი), საბა ხიმშიაშვილი (შუახევი), კობა გოგუაძე (ქედა), ბაჩანა ცინცაძე (ქედა), ნიკა ხიმშიაშვილი (შუახევი), რიჩარდ ფუტკარაძე (შუახევი), ლუკა ნაკაშიძე (ქედა), დათო სურმანიძე (ქედა). აბსოლუტურ წონაში შუახეველმა რიჩარდ ფუტკარაძემ ქედელ დათო სურმანიძეს აჯობა და პირველი ადგილი დაიკავა.

რამდენიმე თვის წინ ქობულეთში მერიისა და ფედერაციის ერთობლივი პროექტით ქართული ჭიდაობის სექციამ დაიწყო მუშაობა. ადგილობრივ სპორტსმენებს ორგზის აჭარის ფალავანი რუსლან შავაძე ავარჯიშებს. მისი ხელი საქმეს დაეტყო. ჩემპიონატზე ქობულეთელები რამდენიმე სპორტსმენით წარსდგნენ და პრიზებიც აიღეს.

ჩემპიონატზე გამარჯვებულ სპორტსმენებს მედლები, სიგელები და თასები გადასცეს. გამარჯვებული სპორტსმენებისგან აჭარის ნაკრები დაკომპლექტდება.

ჩემპიონატი კიდევ ორ ასაკობრივ ჯგუფში გაიმართება. მათ შუახევი და ხულო უმასპინძლებს.

ურეხში ღამის თავშესაფრის რეკონსტრუქცია მიმდინარეობს

ნაირა შუტკარაძე 27 48 93

პროექტი მიზნად ისახავს ცენტრის ადაპტაციას და ბენეფიციარებისთვის თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი გარემოს მოწყობას. გათვალისწინებულია შენობის შიდა და გარე სივრცეების რეაბილიტაცია, ასევე ეზოს კეთილმოწყობა

ღამის თავშესაფრის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია მიმდინარე წლის დეკემბერში უნდა დასრულდეს. სამუშაოებისთვის 2 მილიონ 500 ათასამდე ლარია გამოყოფილი.

პარალელურად მიმდინარეობს სოციალური სახლების მშენებლობა ჯავახიშვილის ქ. №82-ში, რისთვისაც 8 მილიონ 200 ათასი ლარი დაიხარჯება. პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია 4 სახლის აშენება. გარდა ამისა, სოციალური სახლის მშენებლობა დაგეგმილია ე.წ. შანხაის დასახლებაში, რისთვისაც ბიუჯეტში 2 მილიონ 181 ათასი ლარია გამოყოფილი. ე. წ. იაფი სახლის პროგრამის ფარგლებში, ბათუმში ბინებით უკვე დაკმაყოფილდა 40 ოჯახი და კიდევ 40 უახლოეს პერიოდში დაკმაყოფილდება.

სახნავ-სათეს ფართობებს უსასყიდლოდ დაუხნავენ

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

წელს ჭირვეულმა ამინდებმა როგორც ზღვისპირეთის სოფლებში, ისე მთიანეთში საგრძნობლად დააგვიანა საგაზაფხულო ხვნა-თესვის კამპანია

ერთობ საჭირო და ფერმერებზე მორგებული საქმე წამოიწყო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ა(ა)იპ „აგროსერვისცენტრმა“. იგი ყველა მუნიციპალიტეტში ფერმერებს სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს უსასყიდლოდ დაუმუშავებს. გარდა ამისა, ქობულეთისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტებში განხორციელდება სახნავ-სათესი ფართობების დადისკვა, დაფარცხვა.

ამ ინიციატივასთან დაკავშირებით „აგროსერვისცენტრის“ უფროსმა საქართველოს მაჟორიტარ დეპუტატ ანზორ ბოლქვაძესა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს კომისიის თავმჯდომარესთან ერთად შუახევსა და ხელვაჩაურში სამუშაო შეხვედრა გამართა. მათ ფერმერებს გრაფიკი და სხვა პირობები გააცნეს.

- ანალოგიური შეხვედრები აჭარის ყველა მუნიციპალიტეტში გაიმართება. ჩვენი მიზანია, ფერმერებს ხელი წავახმაროთ, რათა წლის მოსავალს მყარი საფუძველი შეექმნას, - გვითხრა გოჩა ბერიძემ.

ბელოსტოკის უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის პროფესორებს უმასპინძლეს

ნათია იმნაიშვილი 27 48 93

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს საერთაშორისო და საზოგადოებასთან ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსმა თეა ჭანტურიშვილმა პოლონეთის რესპუბლიკის ბელოსტოკის უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის პროფესორებს უმასპინძლა.

შეხვედრაზე მხარეებმა სამინისტროს სისტემასა და პოლონეთის სხვადასხვა რეგიონს შორის მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობა მიმოიხილეს. ხაზი გაუსვეს არსებულ საგანმანათლებლო, კულტურულ ღონისძიებებს და მომავალი თანამშრომლობის გეგმები დასახეს.

მოწვეულმა სტუმრებმა მასპინძელ მხარეს საქართველოში პირველი უკრაინელი დიპლომატის ივან კრასკოვსკის შესახებ ბიოგრაფიული წიგნი „ივან კრასკოვსკი ბელორუსის და უკრაინის სამსახურში“ საჩუქრად გადასცეს. თავის მხრივ, სამინისტროს სახელით, სტუმრებს აჭარის კულტურის ამსახველი ალბომები გადაეცათ.

შუახევის მუნიციპალიტეტში

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერმა ზაზა დისამიძემ ა(ა)იპ „აგროსერვისცენტრის“ დირექტორ გოჩა ბერიძესთან ერთად, „სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ხვნა-თესვის“ პროგრამასთან დაკავშირებით სამუშაო შეხვედრა გამართა

შეხვედრას საკრებულოს თავჯდომარე, მერის მოადგილეები, შესაბამისი სამსახურის თანამშრომლები და ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

„აგროსერვისცენტრის“ დირექტორმა გოჩა ბერიძემ შეხვედრის მონაწილეებს ინფორმაცია მიაწოდა „ხვნა-თესვის“ პროგრამასთან დაკავშირებით და კოორდინირებულად მუშაობა შესთავაზა.

აღნიშნული პროგრამა მუნიციპალიტეტში მეორე წელია, ხორციელდება. შარშან, პროგრამის ფარგლებში, მუნიციპალიტეტის მასშტაბით, 220 ha მიწის ნაკვეთი დაიხნა, წელს დაგეგმილია 250 ha მიწის ნაკვეთის დახვნა. გაიცა რეკომენდაციები, როგორ შეირჩეს დასამუშავებელი ტერიტორია, ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლებს გადაეცათ დაგეგმილი სამუშაოების გაწერილი გეგმა-გრაფიკი.

„ხვნა-თესვის“ სამუშაოების ხელმძღვანელობა მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე მირიან კვირიტიძეს დაევალა.

* * *

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში, ჭარნალის ადმინისტრაციულ ერთეულში, სასაფლაოების ტერიტორიიდან მოქალაქე ზებურ მახარაძის სახლის მიმართულებით, საავტომობილო გზის 1280 მეტრი სიგრძის მონაკვეთზე ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს.

მუნიციპალიტეტის მერი ზაზა დიასამიძე, შესაბამისი სამსახურის წარმომადგენლებთან ერთად, პროცესს ადგილზე გაეცნო.

პროექტს შპს „ბილდერი“ ასრულებს. მისი საერთო ღირებულება 82 613 ლარია.

მუნიციპალიტეტის მერი ადგილობრივ მოსახლეობასაც შეხვდა და მათ მუნიციპალიტეტში დაგეგმილი პროგრამებისა და ინფრასტრუქტურული სამუშაოების შესახებ ინფორმაცია გააცნო.

მოამზადა ნათია იმნაიშვილმა

სოსო მანჯავიძე: თავისი მასშტაბით, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, დონბასის ფრონტზე უპრეცედენტო საბრძოლო მოქმედებებია მოსალოდნელი

ირმა ცეცხლაძე 27 48 93

პოლიტოლოგი სოსო მანჯავიძე აცხადებს, რომ სააკაშვილის საქართველოში შემოსვლის მიზანი რუსეთისთვის მეორე ფრონტის გახსნა იყო. მისი თქმით, ზელენსკიმ და მისმა უახლოესმა გარემოცვამ იცოდა მოსალოდნელი ომის შესახებ, ხოლო არასწორად ინფორმირებული ექსპრეზიდენტი დაჰპირდა, რომ მომხრეებთან ერთად ხელში აიღებდა ძალაუფლებას და, უკრაინის პარალელურად, საბრძოლო მოქმედებებში ჩაებმებოდა

„აჭარასთან“ ექსკლუზივში პოლიტოლოგი საუბრობს სტამბოლის მოლაპარაკებებზე აბრამოვიჩის გამოჩენის შესახებ და ვარაუდობს, რომ დონეცკში მოხდება მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ყველაზე დიდი საბრძოლო შეტაკება, რისთვისაც უკვე ემზადებიან როგორც რუსი, ისე უკრაინელი სამხედროები.

- ისევ მიმდინარეობს ომი, ისევ ვიმყოფებით ურთიერთგამომრიცხავი განცხადებების ტყვეობაში და გვიჭირს გარკვევა, რა ხდება სინამდვილეში.

- ორივე მხარეს მართლაც მძლავრად მუშაობს პროპაგანდის მექანიზმები, რომლის ზეგავლენისგან თავდასაცავად ინფორმაციის დამოუკიდებელი წყაროები უნდა ვიპოვოთ ან დაპირისპირებული მხარეების საინფორმაციო საშუალებების მიერ მოწოდებული ინფორმაციის შედარებითი ანალიზი გავაკეთოთ, ხოლო სტატისტიკა შევაჯეროთ. მხოლოდ ასე თუ შევძლებთ შედარებით რეალისტური სურათის მიღებას.

- რომელი მხარეა ომის მიზანმიმართულად შეკეტეს რუსეთის არმიის მიერ ალყაშემორტყმულ ქალაქებში განადგურების მიზნით, რათა მათ პასუხი არ მოსთხოვონ ზელენსკის ხელისუფლებას „ღალატისათვის“.

- უკრაინის სხვა წარმომადგენლებმა?

- თავად უკრაინის ხელისუფლება წარმოადგენს პოლიტიკური დაპირისპირებების და ბრძოლის არეალს. იქ არის ანგლო-საქსურ-ამერიკული პოლიტიკის გამტარებელი ფენა, რომელსაც არ აწყობს და არ უნდა ომის შეჩერება. არიან გერმანიის და საფრანგეთის - ევროპული ნაწილის ინტერესების გამტარებელი პოლიტიკოსებიც. მოგეხსენებათ, ევროკავშირი ყველაზე მეტად დაზარალდა ამ ომის შედეგად. ვგულისხმობ, სანქციების მიზეზით ენერგომატარებლებსა და დიდი საწარმოებისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელ სხვა ნედლეულზე ფასების კატასტროფულ ზრდას. ის დემაგოგია, რომელსაც აწარმოებს ევროკომისიის თავმჯდომარე ურსულა ფონ დერ ლაიენი, აბსოლუტურად არაადეკვატურია. რუსეთიდან წამოსული ენერგომატარებლების და კიდევ ბევრი სხვა რამის (ნახშირის, ტიტანის, სასუქების, პალადიუმის და სხვა) დაუყოვნებლივ ჩანაცვლება ურთულესია. სამომავლოდ, გამოსავალი, ცხადია, მოიძებნება, მაგრამ ამ ეტაპზე ზოგიერთ საქონელზე უარის თქმა, აბსოლუტურად გამორიცხულია. სიტუაციას კიდევ უფრო ართულებს პუტინის მოთხოვნა რუსულ გაზზე რუბლით ანგარიშსწორების შესახებ, რაც არღვევს მსოფლიოში გაბატონებულ დასავლური ეკონომიკური მოდელის მთავარ პრინციპებს და, ჩემი აზრით, ამ დაპირისპირების ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია მრავალი მიზეზის გამო, რომლებზეც აქ არ შევჩერდები.

- თქვენ უცნაურად მიიჩნიეთ აბრამოვიჩის სტამბოლში გამოჩენა და ეს იგორ კოლომოისკის დაუკავშირეთ...

- კი, ეს მართლაც მოულოდნელი იყო. აბრამოვიჩი არის მსოფლიოს ებრაელთა კონგრესის თავმჯდომარის კოლომოისკის მეგობარი. შეიძლება კოლომოისკი არ იყოს ძალიან რაფინირებული და მიღებული ევროპულ ელიტაში, სამაგიეროდ, უდიდესი გავლენა აქვს უკრაინის ხელისუფლებაზე - სწორედ მასთან არის დაკავშირებული ზელენსკის მოყვანა ხელისუფლებაში, ასე რომ, მასთან ლაპარაკს აქვს აზრი, რადგან მისი სიტყვა ჭრის უკრაინის მთავრობაში. ესეც გასათვალისწინებელია. ამ ტრაგიკულ გეოპოლიტიკურ ვითარებაში, ჩვენ შეგვიძლია მივადევნოთ თვალყური ძალიან უცნაურ მოვლენებს. კერძოდ, არ იბომბებოდა კოლომოისკისთან აფილირებული ობიექტები. საინტერესოა, რომ რუსულ პაბლიკებში ხშირად აჩვენებდნენ კოლომოისკის საკუთრებაში მყოფი ნავთობბაზების ზუსტ კოორდინატებს დნეპროპეტროვსკის ოლქში, პირდაპირ უდებენ თავდაცვის სამინისტროს - რატომ არ ბომბავთო. ეს ვითარება რადიკალურად შეიცვალა უკრაინელების მიერ ბელგოროდის ნავთობბაზის დაბომბვის შემდეგ, რასაც დაუყოვნებლივ მოჰყვა პასუხი და დაიბომბა კოლომოისკის კუთვნილი ნავთობის ტერმინალი... როგორც ჩანს, კოლომოისკიმ ვერ უზრუნველყო გარკვეული პირობების შესრულება.. ამავე დროს, აბრამოვიჩის გამოჩენა სტამბოლში უკავშირდება იმ აქტივების ბედს, რომელიც „უპატრონოდ“ რჩება ომის შედეგად. ცხადია, ოლიგარქებისთვის ეს პირველი რიგის ინტერესია.

- უკრაინას, დათმობებზე წასვლის სანაცვლოდ, რას ჰპირდება რუსეთი?

- რუსეთს გამოჰყავს ჯარები კიევის, ჩერნიგოვის, სუმის ოლქებიდან. შეასრულებს თუ არა მოსკოვი ამ პირობებს ბოლომდე, არ ვიცით, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ჯარების გაყვანა ინტენსიურად მიმდინარეობს.

- რა გამოიწვია ამ განცხადებამ თავად რუსეთში, ხომ არ გაბრაზდნენ?

- მედინსკის ამ განცხადებამ მართლაც უდიდესი აგრესია გამოიწვია. რუსული პროპაგანდის რუპორებიც კი გაოგნებული დარჩნენ. შედეგად გაისმა კრიტიკული, გაბრაზებული, მუქარის შემცველი განცხადებები, ანუ უკრაინელი „ნაციონალისტების“ სარკისებური რეაქცია იყო. „ეს რას ნიშნავს, მაშინ რატომ შევედით ამ ომში უკრაინელი ფაშისტების გასანადგურებლად, რატომ მივიღეთ ამხელა დარტყმა დასავლეთისგან?!“ - ისმოდა რუსული საინფორმაციო საშუალებებიდან და სოციალური ქსელებიდან, ანუ რუსებიც ღალატად და მოტყუებად მიიჩნევენ პუტინის მხრიდან „მთელ რიგ დათმობებზე წასვლას“ და სხვა ამგვარი. მთელი ეს კრიტიკა იმ დონეზე მივიდა, რომ კრემლის რუპორებს - სოლოვიოვს, სკობეევას და სხვებსაც მოუწიათ ძალიან სერიოზული ძალისხმევა ამ შეთანხმების „გასაპრავებლად“ საკუთარ გადაცემებში.

- გამოდის, მთელი რუსეთი მხარს უჭერს პუტინის აგრესიას?

- მთელი არა, მაგრამ დიდი ნაწილი - აშკარად. თუ „სპეციალური ოპერაციის“ დასაწყისში მას მხარს უჭერდა მოსახლეობის 63%, ახლა მხარდამჭერთა რაოდენობა 85%-მდე გაიზარდა. რუსეთის შეიარაღებული ძალების მიერ კიევის, ჩერნიგოვის, სუმის ოლქების დატოვება აიხსნა დონბასის დაჯგუფების განადგურებისათვის ძალების კონცენტრაციის აუცილებლობით, თუმცა ბევრი ექსპერტი ამ მოქმედებებში ფარულ შეთანხმებას ხედავს.

- რა შეთანხმებას?

- ამ შეთანხმების მიხედვით, რუსები უარს ამბობენ, შეუტიონ კიევსა და სხვა ოლქებს, სანაცვლოდ, ალყაში აქცევენ დონბასის დაჯგუფებას და უკრაინის სხვა საჯარისო შენაერთებსაც, რითაც მოხდება მათი განადგურება, დემილიტარიზაცია, რასაც თავიდანვე ითხოვდა პუტინი. ამ ვერსიას უფრო და უფრო ხშირად აყენერებენ ანალიტიკოსები სხვადასხვა მხრიდან.

- რას ამბობს ამაზე ამერიკის შეერთებული შტატები და ნატო?

- მათ ცხადია, ხელს არ აძლევთ ომის დასრულება და ვხედავთ, რომ გაძლიერდა ანგლოსაქსების, ჰოლანდიის და სხვათა მხრიდან იარაღის მიწოდების ინტენსივობა, ისევე როგორც მიწოდებული იარაღის ხარისხი. ამავე დროს, ისინი აცნობიერებენ, რომ ფრონტალური დაპირისპირების გაგრძელება მალე შეუძლებელი გახდება, ამიტომ აქცენტი კეთდება პარტიზანულ-დივერსიული ომისათვის საჭირო შეიარაღებაზე და ასეთი ჯგუფების გადამზადებაზე, მათთვის ამ პროფილის იარაღის მიწოდებაზე. უკრაინა, მათი სტრატეგიით, უნდა გახდეს „სლავური ავღანეთი“, ასეთივე „მისია“ ჩვენს რეგიონში უნდა შეასრულოს საქართველომ, რისთვისაც ხორციელდება ზეწოლა ჩვენს მთავრობაზე.

- რაც შეეხება ომის მიმდინარეობას...

- რაც შეეხება სამხედრო მოქმედებებს, წინა ინტერვიუშიც ვამბობდი და ახლა, როგორც იქნა, აღიარეს ალექსი არესტოვიჩმაც და ზელენსკის მთავრობის სხვა წევრებმაც, რომ უკრაინის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი, ფაქტობრივად, განადგურებულია, ჰაერს მთლიანად აკონტროლებს რუსეთის ავიაცია, ამიტომ გაუგებარია, როგორ აპირებენ დონბასში სახმელეთო ფრონტალურ ბრძოლას, ეს ხომ თვითმკვლელობა იქნება. არადა, გადარჩენილი ტექნიკის მთელი არსენალი იქითკენ მიემართება და მოსალოდნელია, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ უპრეცედენტო საბრძოლო მოქმედებები ამ ფრონტზე.

- თუკი სტამბოლში შეთანხმდნენ, რომ 15 წლის განმავლობაში გაიყინება კონფლიქტი დონბასში, ლუგანსკში და ყირიმში, რატომ ემზადება ამ ბრძოლისთვის ორივე მხარე?

- ეს მართლაც საოცარია. ზოგადად, ამ ომს ბევრი უცნაურობა ახასიათებს. დაპირისპირებულ მხარეებს ერთმანეთისთვის ომი არ გამოუცხადებიათ. ინგრევა ქალაქები, იღუპებიან

იხ. მე-7 გვ.

> ***...აქცენტი კეთდება პარტიზანულ-დივერსიული ომისათვის საჭირო შეიარაღებაზე და ასეთი ჯგუფების გადამზადებაზე, მათთვის ამ პროფილის იარაღის მიწოდებაზე. უკრაინა, მათი სტრატეგიით, უნდა გახდეს „სლავური ავღანეთი“, ასეთივე „მისია“ ჩვენს რეგიონში უნდა შეასრულოს საქართველომ, რისთვისაც ხორციელდება ზეწოლა ჩვენს მთავრობაზე***

- თუ შეიძლება, განვიხილოთ სტამბოლში გამართული რუსეთ-უკრაინის მოლაპარაკებები...

- სტამბოლის მოლაპარაკება უცნაური პასუხებით გამოირჩეოდა. მოულოდნელად იქ აღმოჩნდა აბრამოვიჩი, რომელიც უკრაინელ მილიარდერ იგორ კოლომოისკის მეგობარია. მას შეხვდა ერდოღანიც, რაც ასევე აუხსნელია. აქვე ისიც გაიხსენეთ, რომ საკმაოდ დაბნეული განცხადებები გააკეთეს რუსეთის დელეგაციის ხელმძღვანელმა ვლადიმერ მედინსკიმ და რუსეთის თავდაცვის მინისტრის მოადგილე ალექსანდრე ფომინმა. ყველაზე ნიშანდობლივია, რომ რუსეთის წარმომადგენლებმა გააჟღერეს არა საკუთარი, არამედ უკრაინელთა პოზიცია.

- უკრაინა მართლაც წავიდა დიდ დათმობაზე. მის პოზიციას როგორ შეაფასებთ?

- ძირითადი იყო ის, რომ 15 წლის განმავლობაში ყირიმის, დონბასის და ლუგანსკის თემა გაიყინება, უკრაინის მხარე უარს იტყვის ძალის გამოყენებაზე, ასევე თანხმობას აცხადებს, გახდეს ნეიტრალური სახელმწიფო. სიმართლე გითხრათ, აქაც არის გაუგებრობა - როგორ უნდა გაიყინოს ეს თემა, თუკი უკვე მიმდინარეობს კონფლიქტი და არ არის გარკვეული რიგი საკითხები.

- რომელი საკითხები?

- თვითგამოცხადებული და რუსეთის მიერ აღიარებული „სახალხო რესპუბლიკების“ ტერიტორია შეადგენს 64 ათას კვადრატულ კილომეტრს 2014 წელს დაფიქსირებული ოლქების ადმინისტრაციულ საზღვრებში, რომლისგანაც ომამდე სეპარატისტები მხოლოდ ნახევარს აკონტროლებდნენ. მაგალითად, მარიუპოლი დონეცკის ოლქს მიეკუთვნება, ანუ სად შევა მარიუპოლი, როგორ დაიყოფა ეს ოლქები იმ საზღვრების მიხედვით, რომელსაც რუსები იკავებენ, ჯერაც უცნობია. ამ საკითხების დეტალიზაცია სტამბოლის მოლაპარაკებების დროს არ გაკეთებულა. აქვე დავაკონკრეტოთ, რომ უკრაინა უარს ამბობს ბირთვული იარაღის ფლობის პრეტენზიაზე, ნეიტრალიტეტის და გარანტორობის კანდიდატებად სახელდებიან საფრანგეთი, გერმანია, დიდი ბრიტანეთი, თურქეთი, პოლონეთი, იტალია და იაპონიაც კი.

- ანუ, რასაც მანამდე ითხოვდა რუსეთი, ზელენსკიმ ის გააკეთა და ბონუსად ზედმეტი ტერიტორიებიც მიაყოლა?

- კი, ასეთი სურათი იკვეთება. ახლა ისიც გავარკვიოთ, რა რეაქცია მოჰყვა ამას უკრაინაში. სტამბოლის მოლაპარაკებების შედეგებმა გამოიწვია სერიოზული ისტერია ნაციონალისტურ წრეებში, ხოლო უკრაინაში ისინი დომინირებენ როგორც იდეოლოგიურად, ისე მმართველობაში. კერძოდ, ეს ნაბიჯები მიიჩნიეს ღალატად. მათი აზრით, „ბარიგებმა“ - ზელენსკიმ და კოლომოისკიმ გაყიდეს უკრაინელი პატრიოტები,

უცხოეთი

ევროკავშირი რუსეთის ფედერაციას უკრაინის ქალაქ ბუჩაში შექმნილი ვითარების გამო სანქციების ახალ პაკეტს უწესებს. საფრანგეთის პრეზიდენტი ემანუელ მაკრონი აცხადებს, რომ იმის გამო, რაც რუსეთმა ბუჩაში ჩაიდინა, აუცილებელია სანქციების ახალი სერია დაუწესდეს. „ჩვენ ვგეგმავთ ძალისხმევის კოორდინირებას ევროპელ პარტნიორებთან, მათ შორის გერმანიასთან“, - აღნიშნა მაკრონმა. შეზღუდვები მოიცავს ინდივიდუალურ სანქციებს, რუსული გემებისთვის ევროკავშირის პორტების გამოყენების აკრძალვას, დამატებით საექსპორტო შეზღუდვებს და ემბარგოს - ენერგომომარაგებაზე.

* * *

აშშ-ის კოსმოსური ტექნოლოგიების კერძო კომპანია Maxar Technologies-ი აქვეყნებს სატელიტიდან გადაღებულ ფოტოებს, რომელთა მიხედვით, უკრაინის ქალაქ ბუჩაში მასობრივი საფლავებია გათხრილი. კომპანიის ინფორმაციით, ფოტოებზე, რომლებიც 31 მარტსაა გადაღებული, ჩანს ეკლესიების ტერიტორიებზე გათხრილი საფლავები. თხრილები, რომლებშიც მოკლულებს მასობრივად მარხავენ, დაახლოებით, 13 მეტრი სიგრძისაა. Maxar Technologies-ის ცნობით, მასობრივი საფლავების გათხრა 10 მარტს დაიწყეს.

* * *

რუსეთი უარყოფს ბუჩაში მშვიდობიანი მოსახლეობის მკვლელობის თაობაზე ბრალდებებს და აცხადებს, რომ ფოტო-ვიდეოკადრები „კიევის რეჟიმის მორიგი სიყალბეა“. რუსეთი, ბუჩაში მშვიდობიანი მოქალაქეების მკვლელობასთან დაკავშირებულ ბრალდებების საკითხზე, ოთხშაბათს გაეროს უშიშროების საბჭოს საგანგებო სხდომის ჩატარებას ითხოვს. გაეროს უშიშროების საბჭოში რუსეთის წარმომადგენლის მოადგილე დიმიტრი პოლიანსკიმ განაცხადა, რომ იგი აღნიშნულ მოთხოვნას „უკრაინელი რადიკალების აშკარა პროვოკაციების ფონზე“ აყენებს. უკრაინის ქალაქ ბუჩაში არსებულ მძიმე მდგომარეობაზე, რუსი ოკუპანტების მხრიდან მშვიდობიანი მოსახლეობის სასტიკ მკვლელობებზე, გაუპატიურებებზე, ძალადობასა და სასტიკ მოპყრობაზე მედიაში კადრები და ფოტოები ამ დღეებში გავრცელდა.

* * *

სერბეთის მოქმედმა პრეზიდენტმა საპრეზიდენტო არჩევნების პირველივე ტურში გაიმარჯვა. ალექსანდრ ვუჩიჩმა ამომრჩეველთა ხმების 90%-ის დათვლის შედეგად 59,55% მოიპოვა. როგორც მან პრესკონფერენციაზე განაცხადა, სერბეთი ისწრაფვის, შეინარჩუნოს რუსეთთან პარტნიორული და მეგობრული ურთიერთობები. ვუჩიჩის თქმით, მან შეძლო ის, რაც აქამდე სერბეთში ვერავინ მოახერხა - ორჯერ გაიმარჯვა პირველივე ტურში.

* * *

პოლონეთი, ლიეტუვა, ლატვია და ესტონეთი უახლოეს პერიოდში დაიწყებენ პროცესს, რომლის შედეგადაც დახურავენ სახმელეთო გზებს რუსეთის და ბელარუსის მიმართულებით. „ოფიციალურად მივმართეთ ჩვენს კოლეგებს თხოვნით, შეაჩერონ ნებისმიერი საავტომობილო კავშირი რუსეთის ფედერაციასა და ბელარუსის რესპუბლიკასთან. დიდ მადლობას გუხდით პოლონეთის, ლიეტუვის, ლატვიისა და ესტონეთის ტრანსპორტის მინისტრებს. რეაქცია დაუყოვნებლივი იყო. ველით საბოლოო შედეგს“, - განაცხადა უკრაინის ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე მუსტაფა ნაიემმა.

მოამზადა
ია შველიძემ

ბათუმის საკრებულოს შუალედურ არჩევნებში რამაზ ჯინჭარაძემ გაიმარჯვა

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

ბათუმში უკვე დათვლილია №4 საარჩევნო ოლქის 14-ვე უბანი. ადგილობრივი თვითმმართველობის შუალედურ არჩევნებზე, ცენტრალური საარჩევნო კომისიის წინასწარი მონაცემებით, „ოცნების“ კანდიდატმა რამაზ ჯინჭარაძემ გაიმარჯვა

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა მათე ფუტკარაძემ ამომრჩეველთა ხმების 31 პროცენტი მიიღო (3233 ხმა), „ქართული ოცნების“ კანდიდატმა რამაზ ჯინჭარაძემ - 69 პროცენტი (7190 ხმა). ცესკოს ცნობით, ბათუმის მაჟორიტარულ ოლქში 20635 ამომრჩეველი იყო რეგისტრირებული.

ცნობისათვის: 2 აპრილს რუსთავსა და ბათუმში შუალედური არჩევნები ჩატარდა, სადაც მოქალაქეებმა პარლამენტისა და საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატები აირჩიეს. მმართველი გუნდის კანდიდატს ძლიერი კონკურენცია არ ჰქონდა რუსთავში, სხვა სურათი შეიქმნა ბათუმში. აქ, ამ არჩევნებმა გადაწყვიტა, საკრებულოს თავმჯდომარის არჩევას მმართველი გუნდი შეძლებს თუ ოპოზიცია.

„ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატი ბათუმის საკრებულოს არჩეული ოპოზიციონერი წევრის ნუგზარ ფუტკარაძის ვაჟი იყო. ნუგზარ ფუტკარაძე 2021 წლის თვითმმართველობის არჩევნებიდან მალევე, ნოემბერში, მოულოდნელად გარდაიცვალა. საკრებულოში ერთი მაჟორიტარი დეპუტატის ადგილი ვაკანტური სწორედ ამის შემდეგ გახდა. მოცემული მომენტისთვის, ბათუმის საკრებულოში „ქართულ ოცნებას“ 16 დეპუტატი ჰყავს, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ - 14, ყოფილი პრემიერის გიორგი გახარიას პარტია „საქართველოსთვის“- 2, „ლელოს“- 1, ერთიც დამოუკიდებელი დეპუტატია, რომელმაც გახარიას პარტია არჩევნებიდან მალევე დატოვა, ახალი მონაცემებით კი ცხადი გახდა, „ქართული ოცნება“ შესძლებს საკრებულოს დაკომპლექტებას.

აქვე შეგახსენებთ, რომ წინასაარჩევნო პერიოდში ორივე მხარე ცდილობდა დაემტკიცებინა საკუთარი სიმართლე და ბრძოლა მართლაც მძაფრ კონტექსტში მიმდინარეობდა. ოპოზიცია ბრალს სდებდა „ქართულ ოცნებას“, რომ საარჩევნო სიებში ბოლო მომენტში, სრულიად ახალი სახელები გამოჩნდა, რომელიც საჯარო რეესტრში უეცრად გაფორმებულ ადამიანებს ეკუთვნოდა. როგორც ცნობილია, გონიო-კვარიათის ტერიტორიაზე, ყოფილი „ოცნების ქალაქის“ მცხოვრებთათვის აშენდა კორპუსი, სადაც ჩაეწერა კიდეც ეს ხალხი. აღსანიშნავია, რომ პროექტი უკავშირდება „ქართულ ოცნებას“ და მის ახალ კანდიდატ რამაზ ჯინჭარაძეს, რის გამოც, ოპოზიცია დარწმუნებული იყო, რომ სწორედ ჯინჭარაძე აიღებდა ხმების დიდ ნაწილს. ასევე, ოპოზიციის მხრიდან საუბარი იყო ამომრჩეველთა „ჯერარნახულ“ მოსყიდვებსა და ადმინისტრაციული რესურსების ჭარბად გამოყენებაზე. საყვედური ითქვა „ძველი ბიჭების“ შესახებაც, რაზეც კომენტარი გააკეთა „ქართული ოცნების“ ბათუმის საარჩევნო შტაბის უფროსმა ირაკლი ჭეიშვილმა: „ყოველ წელს გვესმის, თითქოს, არჩევნებს ძველი ბიჭებით, კრიმინალების დახმარებით ვიგებთ და სხვაგვარად ფონს ვერ გავდივართ. არ დადასტურებულა არც ერთი ფაქტი! ეს არის ტყუილი და მოგონილი ამბავი. საერთოდ, როგორ აფასებთ, ძველი ბიჭია თუ კარგი ბიჭია? არ ვიცი, ოპოზიციას შეფასების რა კრიტერიუმები აქვს. არცერთ არჩევნებზე არცერთი მსგავსი ფაქტი არ დადასტურებულა, მაგრამ მაინც იმეორებენ. როგორც დამკვირვებლები აფასებენ, ბათუმში შუალედური არჩევნები მშვიდ გარემოში მიმდინარეობდა. მოქალაქეებს არ ეზღუდებოდათ საარჩევნო უბანზე გადაადგილება, მათ შორის - გარე პერიმეტრზე, თუ არ ჩავთვლით რამდენიმე უბანს, სადაც ტექნიკური ხარვეზი დაფიქსირდა, მაგალითად, აპარატს რაღაც ტექნიკური ხარვეზი ჰქონდა, მაგრამ დაახლოებით 15 წუთში აღმოიფხვრა“.

რაც შეეხება ოპოზიციის ბრალდებას, რომ ცესკოს მიერ ამომრჩევლისთვის კენჭისყრის პროცედურაზე ინსტრუქციის მიცემისას ბიულეტენზე „ქართული ოცნების“ კანდიდატზე იყო მინიშნება, ჭეიშვილი ამბობს, რომ ეს ტყუილია და ასეთი ფაქტი არ დადასტურებულა: „ნაციონალური მოძრაობის“ და საერთაშორისო ორგანიზაციის დაახლოებით 30 დამკვირვებელია და ასეთი ფაქტი რომ ყოფილიყო, საჩივარს დაწერდნენ და კომისიის ნებისმიერ წევრს, „ნაციონალური მოძრაობის“ თუ ჩვენი მხრიდან, გავაძევებდით. ასეთი ფაქტი არ დადასტურებულა.

ბათუმის შუალედური არჩევნების შედეგები საპილოტე პროექტის ფარგლებში ელექტრონულად დაითვალეს და მონაცემების გამოქვეყნება კენჭისყრის დასრულებიდან 1 საათში გახდა შესაძლებელი. ხმის მიცემისა და დათვლის პროცესში საოლქო საარჩევნო კომისიებმა სულ 29 საჩივარი მიიღეს, რომელიც მხოლოდ ბათუმის ოლქში შემავალ უბნებზე არსებულ პროცედურულ ხარვეზებს ეხებოდა.

გთავაზობთ ინტერვიუებს ამ პროცესში ჩართულ პოზიცია-ოპოზიციის წარმომადგენლებთან.

რამაზ ჯინჭარაძე, „ქართული ოცნების“ გამარჯვებული კანდიდატი:

- გილოცავთ, ბატონო რამაზ. როგორ შეხვდით ამ ამბავს?

- ძალიან გამიხარდა, რადგან ჩემს გუნდთან ერთად ყველაფერი გავაკეთე ღირსეული გამარჯვების მოსაპოვებლად. მადლობელი ვარ „ქართული ოცნების“, რომელმაც მომცა კენჭისყრის საშუალება და ამირჩია ამ ერთადერთ კანდიდატად, რომლის გამარჯვებაზეც დამოკიდებული იყო თავად პარტიის რეიტინგი და ბათუმის საკრებულოში უმრავლესობის საკითხის გადაწყვეტა. ნდობა, რომელიც გამომიცხადა მმართველმა პარტიამ, ჩემთვის ყველაზე უფრო ღირებულია. აქვე მივმართავ ბათუმელებს და გავიმეორებ წინასაარჩევნო სიტყვებს: ბათუმის საკრებულოს ეყოლება ადამიანი, რომელიც 24 საათის განმავლობაში მათზე იზრუნებს! მოგეხსენებათ, ყოველდღიური ურთიერთობები მაქვს ჩვენს თანაქალაქელებთან, როგორც სამსახურებრივი, ისე ყოფითი. კარგად ვიცი ის გამოწვევები თუ პრობლემები, რომელთა წინაშე დგას ქალაქი და ისიც, რა არის საჭირო მოსახლეობის ცხოვრების დონის ასამაღლებლად. კიდევ ერთხელ ვუხდი მადლობას გონიო-კვარიათის მოსახლეობას, რომელმაც მხარი დამიჭირა შუალედურ არჩევნებში და ვპირდები მათ, რეალურად განვახორციელებ იმ სოციალურ პროექტებს, რომელიც შემუშავებულია და გათვალისწინებული ბათუმის ბიუჯეტში.

- ამ ოლქმა თავის დროზე მხარი ოპოზიციის კანდიდატს დაუჭირა.

- მე კარგად ვიცნობ ჩემს ქალაქს. ამ ეტაპზე საკრებულოს ნორმალური ფუნქციონირებისთვის აუცილებელია, უმრავლესობა ჰქონდეს მმართველ გუნდს და დარწმუნებული ვარ, ეს ბათუმელებმაც კარგად იციან. ამიტომ გააკეთეს სწორი არჩევანი. შედეგად, სულ მოკლე დროში შევძლებთ ქალაქის სასიცოცხლო მაჯისცემის აღდგენას საკრებულოს ამუშავებით. „ქართულ ოცნებას“ ბევრი კარგი პროექტი აქვს განსახორციელებელი სოციალური და ჯანდაცვის კუთხით, რომელიც ითხოვს მისივე დეპუტატების მხარდაჭერას. ბათუმის საკრებულოს სწორედ ამ ეტაპზე დაუგროვდა ბევრი ისეთი ტიპის პრობლემა, რომლის გადაწყვეტაშიც დიდი გამოცდილება მაქვს. ვიმედოვნებ, ჩემს წვლილს შევიტანთ ქალაქის განვითარებაში. პირობას ვაძლევ ჩემს ბათუმს, რომ თავს დავამახსოვრებ კარგი საქმიანობით.

გიორგი კირთაძე, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“:

- ბატონო გიორგი, როგორ ჩატარდა შუალედური არჩევნები და რა პრეტენზიები გაგიჩნდათ „ქართული ოცნების“ მიმართ?

- არჩევნების წინა დღეებში „ქართული ოცნება“ უპრეცედენტო მობილიზაციას აკეთებდა. წარმოიდგინეთ, სულ 14 უბანი ჰქონდა მოსაგები მთელი ქვეყნის მასშტაბით, სწორედ აქ უნდა დაემტკიცებინა საკუთარი ძალა და ყველა ხერხით მიაღწია მიზანს. არ დაუშურებია არც შანტაჟი, არც მოსყიდვა, არც მუქარა, ის კი არა, სულ სხვა ხალხი ჩამოიყვანა და ჩაწერა გონიო-კვარიათში. უბანზე მისული ადამიანების უმეტესი ნაწილი „ოცნების“ აგიტატორ-კოორდინატორი იყო. ამით იმის თქმა მინდა, რომ სრული მობილიზაციით მიაღწიეს იმას, რომ სხვა არ გააკარეს საარჩევნო უბნებს. ყველას მისცეს რაღაც მიზეზით თანხა, ანუ გააფორმეს აგიტატორად და გადაუხადეს ფული.

- საჯარო რეესტრის მიერ ჩაწერილ ადამიანებზე რას იტყვით?

- რა უნდა ვთქვა, 1000-ზე მეტი კაცი ჩაწერეს. ეს მანამდეც გავაჟღერეთ, მაგრამ არავითარი რეაქცია არ ჰქონდა არავის. ისევ ოპოზიციის მომხრეებმა დაგვიჭირეს მხარი, თუმცა რა უნდა მოეხერხებინათ იმ სრულ განუკითხაობაში, რაც საარჩევნო უბნებზე სუფევდა?!

- არჩევნები ხომ ახალი ელექტრონული სისტემით ჩატარდა?

- კი, ამიტომ მოიფიქრეს სულ სხვა სისტემა, თან შანტაჟიც შეძლეს - იმ ელექტრონული სისტემით, ვისაც ფულს უხდიდნენ, იოლად გააკონტროლებდნენ, ვის მისცემდა ხმას.

- თუ გაქვთ რაიმე ხელჩასაჭიდი? როგორც ვიცი, მხოლოდ 29 საჩივარია შესული.

- გვაქვს შეტანილი საჩივრები, მაგრამ რა აზრი აქვს, ვინ რას გადახედავს და რას გამოასწორებს?! ფაქტია, რომ სხვადასხვა ხერხის გამოყენებით „ქოცებს“ ჰქონდათ აშკარა უპირატესობა. აქვე მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა გადავუხადო იმ ადამიანებს, რომლებმაც ღირსება აირჩიეს და ხმა მისცეს ერთხელ უკვე არჩეული გარდაცვლილი დეპუტატის ვაჟს. 3 ათასზე მეტმა მოგვცა ხმა. ეს ის ადამიანები არიან, რომლებმაც საკუთარზე მაღლა სახელმწიფოებრივი ინტერესები დააყენეს და არ უღალატეს თავიდანვე არჩეულ გზას.

- როგორია ამ არჩევნების თქვენეული შეფასება?

- ეს იყო არჩევნები, რომელშიც აქამდე არნახული მასშტაბის მოსყიდვა და ზეწოლა იყო. შუალედურ არჩევნებში ეს ბევრად უფრო იოლად გამოუვიდა „ქართულ ოცნებას“.

- საკრებულოს უმრავლესობა დააკომპლექტებს, თქვენ რას აპირებთ?

- ჯერ კიდევ არ დაგვისრულებია ბრძოლა, ვნახოთ, როგორ გაგრძელდება საკრებულოში მუშაობა, მაგრამ ის, რომ ჩვენ ძალიან ბევრ ადამიანს მოვთხოვეთ ყოფილიყო ნუგზარ ფუტკარაძესავით ღირსეული - შევცდით, ამის დიდი მოლოდინი არ უნდა გვქონოდა.

ირაკლი კუპრაძე, „ლელო საქართველოსთვის“:

- ირაკლი, რა მოხდა, რატომ გადაიხარა სასწორი მმართველი პარტიის კანდიდატისკენ იმის მიუხედავად, რომ მთელ ოპოზიციურ სპექტრს მხოლოდ ერთი კანდიდატი გყავდათ დასახელებული?

- ოპოზიციას ჰქონდა ერთადერთი მარტივი არჩევანი - უარი ეთქვა არჩევნებზე. ბოლო ვადის გასვლის შემდეგ აშკარა გახდა, რომ ვერ მოვიგებდით ამ არჩევნებს, რადგან გამოქვეყნებულ საარჩევნო სიებში 1000-ზე მეტი ახალი სახელი და გვარი ეწერა მხოლოდ და მხოლოდ 14 უბანზე. მარტო ერთ უბანში გაჩნდა 444 ახალი ამომრჩეველი! ამ კონტექსტში, ვფიქრობ, ყველას კარგად ესმის, რას ემსახურებოდა „ქართული ოცნების“ მხრიდან ამ ადამიანების მაინცდამაინც ამ პერიოდში ამ ოლქებში ჩაწერა 84-ე უბანზე - „მუყაოს ქალაქში“. ყველამ იცის, რომ სწორედ მმართველი პარტია აშენებს იქ კორპუსს ამ ადამიანებისთვის და მისი კანდიდატი რამაზ ჯინჭარაძე უშუალოდ იყო ჩართული ამ პროექტის განხორციელებაში.

- და ამის მიუხედავად, მაინც მიიღეთ მონაწილეობა...

- დიახ, მივიღეთ, თუმც ძალიან კარგად გვესმოდა, რა რისკებზეც მივდიოდით, რა სირთულის წინაშე აღმოვჩნდით ხელისუფლების პირისპირ - უთანასწორო რესურსებით და ბრძოლის უთანასწორო მექანიზმებით. რამდენიმე დღით ადრე ვიმსჯელეთ ამაზე, განვიხილეთ, რამდენად სწორი იყო ამ ბრძოლაში ჩაბმა, თუმცა ყველა ჩვენგანმა ერთხმად გადავწყვიტეთ, რომ ღირსების არჩევნებად შერაცხული ეს ბრძოლა უნდა შემდგარიყო და მათე ფუტკარაძე, ხელისუფლების მიერ შეწირული მაჟორიტარის ნუგზარ ფუტკარაძის შვილი, წარმდგარიყო მოსახლეობის წინაშე. 2 აპრილის არჩევნებზე ჩვენს გასვლას ჰქონდა მარტივი გათვლა, მიგვეცა ჩვენი მომხრეებისთვის საკუთარი პოზიციის დაფიქსირების შანსი და უთანასწორობის, მარცხის მოლოდინის მიუხედავად, გადავდგით ეს ნაბიჯი. უფრო ხატოვნად რომ განვმარტო, ვიტყვი: შუალედურ არჩევნებში ოპოზიცია ჰგავდა იმ უკრაინელს, რომელიც შიშველი ხელებით ცდილობდა ტანკის შეჩერებას. სწორედ ამ სიუჟეტში იყო წარმოდგენილი ბათუმის ოპოზიცია. როგორც ხედავთ, შედეგი ცხადია - ვიბრძოლეთ, ვცადეთ, მაგრამ ტანკმა მაინც გაიარა.

- ანუ შეეგუეთ დამარცხებას?

- არავითარ შემთხვევაში, ეს დროებითია, ისევე როგორც უკრაინის შემთხვევაში, აქაც მოუწევთ უკან დახევა. უბრალოდ, სამწუხარო რეალობაა ის, რომ ამ ფაქტმა ხელისუფლების მიმართ იმედგაცრუება გააჩინა საზოგადოებაში. ბევრი დარწმუნდა, რომ არჩევნების გზით შეუძლებელია „ქართული ოცნების“ ხელისუფლებიდან ჩამოშორება, რადგან ყოველთვის მსგავს პრაქტიკას იყენებს არჩევნებზე ზემოქმედებისთვის.

- რას გულისხმობთ?

- დაშინებას, მოსყიდვას, შანტაჟს, სახელისუფლებო ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებას, რაც მისთვის სასარგებლოდ წყვეტს არჩევნების ბედს.

- საკრებულო ამოქმედდება. საინტერესოა როგორ გადანაწილდება ფუნქციები?

- საკრებულოს ამოქმედება კიდევ სხვა მრავალ პროცესზეა დამოკიდებული. დროის ფაქტორია, როდის გამოქვეყნდება შემაჯამებელი ოქმი და როდის ჩაინიშნება საკრებულოს პირველი სხდომა. შემდეგ, ალბათ, ვისაუბრებთ, როგორ გადანაწილდება ძალაუფლება, ფუნქციები - დაინიშნება თავმჯდომარე, კომისიის თავმჯდომარეები და სხვა. იმედი გვაქვს, ჩვენ ისევ დავანახებთ ქალაქს, რამდენად აუცილებელი ვართ მისი გამართული ფუნქციონირებისთვის, თუნდაც - უმცირესობაში.

ილია ვერძაძე, „ქართული ოცნება“:

- ბატონო ილია, 10 ათასი ამომრჩევლიდან 7 ათასმა ხმა თქვენს კანდიდატს მისცა. რით ახსნით ამ წარმატებას - ოპოზიციის კანდიდატის გამოუცდელობით თუ მმართველი პარტიის მიმართ ხალხის ნდობით?

- კანდიდატი, რა თქმა უნდა, კარგი იყო, მაგრამ ეს წარმატება ასევე სხვა პოლიტიკურ ფაქტორებზე იყო დამოკიდებული. შუალედური არჩევნების მოგება მაინც „ქართული ოცნების“ მიზანმიმართულმა, მშვიდმა და პრაგმატულმა პოლიტიკამ განაპირობა, რომელსაც საფუძვლად უდევს ხელისუფლების დროული და გონივრული გადაწყვეტილებები.

- თქვენივე თქმით, ამ პოლიტიკას „ქართული ოცნება“ მანამდეც ახორციელებდა, თუმცა ამავე ოლქში წააგო თვითმმართველობის არჩევნების პირველი ტური.

- ხალხი ყოველთვის რეაგირებს არსებული ვითარებიდან გამომდინარე. დღეს არსებითად განსხვავებული პერიოდია საქართველოსთვის. აქ ვგულისხმობ როგორც საგარეო პოლიტიკას, ისე პანდემიით და ომით გამოწვეულ სირთულეებს, რომლის მოწესრიგებაც ისევ და ისევ, იმ პოლიტიკურ ძალას ანდო ამომრჩეველმა, რომელზეც ჯერ კიდევ 2012 წელს გააკეთა გათვლა. ერთი შეხედვით ამ მცირემასშტაბიანმა არჩევნებმა კიდევ უფრო ნათელი გახადა, რას ფიქრობს მოსახლეობა და როგორ აფასებს მიმდინარე პროცესებს. ეს იყო პრინციპული არჩევნები, რომელსაც უნდა გადაეწყვიტა ბათუმის საკრებულოში უმრავლესობის საკითხი. მანამდე, თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეები, უფრო პოლიტიკური ორიენტაციიდან გამომდინარე გამოხატავდნენ საკუთარ თვალსაზრისს. ახლა კი, როდესაც უნდა გადაწყვეტილიყო ვის მინიჭებოდა პრიორიტეტი ქალაქის მმართველობაში, ეს ყველაფერი გააანალიზეს, შეადარეს, რა ჰქონდათ და რას მიიღებდნენ და მხოლოდ ამის შემდეგ მოგვცეს ხმა მმართველ პარტიას. ამით ის მინდა ვთქვა, რომ საყოველთაო არჩევნებიც რომ ჩატარებულიყო, მთელი საქართველოს მოსახლეობა ჩვენ მოგვცემდა ხმას.

იხ. მე-7 გვ.

თავიდან რომ დაბადებულიყო, ისევ მედეა ჩარკვიანი იქნებოდა

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

__მედეა ჩარკვიანს__ ბათუმელები (და არა მარტო) კარგად იცნობენ და აფასებენ, არც დადებით ეპითეტებს იშურებენ და ყველას იხდენს ეს კეთილაღნაგი და კეთილგონიერი ქალბატონი, გამორჩეული ჟურნალისტი, მენეჯერი, ძალიან კარგი დედა და მეუღლე, მეგობარი... სადაც კი უმუშავია, ყველგან დაუვიწყარი კვალი აღბეჭდა, სიკეთესა და სიყვარულს თესავდა, რადგან ყოველთვის ამ პრინციპის ერთგულია. ეს ინტერვიუც ამის დასტურია.

- მდიდარი ბიოგრაფია გაქვს... ბათუმს უყვარხართ, გაფასებთ, თავად როგორ აღიქვამთ საკუთარ თავს, ანუ რას იტყვის მედეა ჩარკვიანი მედეა ჩარკვიანის შესახებ?

__- მეც საოცრად მიყვარს ჩემი ქალაქი...__ როცა ბათუმზე ვსაუბრობ, „სამოსელი პირველი“ მახსენდება: „ჩვენ ყველას გვაქვს ჩვენი ქალაქი, ოღონდ ხანდახან არც ვიცით ხოლმე. ორსართულიანი სახლები, მოკირწყლულ ფერდობზე ნაბიჯ-ნაბიჯ აყოლილნი. ქალაქი, ქალებითა და კაცებით, ბავშვებით სავსე... ჰეე, ქალაქი, წითელი კრამიტით მოფენილი, დანაოჭებული სახურავებით, ზემოდან თუ დავხედავთ; რკინის მილები, ავდრისას წყალი რომ მოჩხრიალებს და მძიმედ აორთქლებული ქალაქი ნაწვიმარზე... გამჭვირვალე ნისლი გათენებისას, ხასხასა ფერები, ტირიფებიანი ეზოები, ვარდებითა და გეორგინებით და რომელიღაც უსახელო ყვავილებით ქალაქის განაპირას“... ჩემს ბავშვობას ძველი ბათუმის ასეთი სურათები შემორჩა... სულ ვგრძნობდი, რომ ყველა ქუჩას ჰქონდა განსაკუთრებული ხიბლი, რომელსაც თან ახლდა ყავის, ზღვისა და მაგნოლიის სურნელი... ასეთი ბათუმი მენატრება... ასეთი ბათუმი მიყვარს და სულ ვეძებ... სულ იმ განუმეორებელ ხიბლს და ანდამატს, ბავშვობასთან რომ მაახლოვებს და თუ მეც ამ ქალაქის ნაწილად აღვიქმები, მადლობის მეტი რა მეთქმის...

- წარმატებული, გამორჩეული ჟურნალისტი, მენეჯერი - ასე გიცნობენ, თავად რომელ სფეროში უკეთ გრძნობდით თავს და სამომავლოდ სად ხედავთ საკუთარ პერსონას?

__- ჟურნალისტიკა__ ძალიან რთული სფეროა. ის ერთმნიშვნელოვნად მოითხოვს: ერუდიციას, ინტელექტს, ობიექტურობას, შრომისმოყვარეობას, კეთილგანწყობას, სამართლიანობას, გემოვნებასა და ჰუმანიზმს... თუ რომელიმე გაკლია, ვერ იქნები კარგი ჟურნალისტი... რაც შეეხება მენეჯერულ თვისებებს, ყოველთვის მიწევდა თავიდან რაღაც ახლის კეთება... ექსპერიმენტები... ნოვაცია... იდეების ნაკლებობას არასოდეს ვუჩიოდი. სიახლეები ძალიან მომწონს და სიამოვნებით ახლაც გავაკეთებდი რაიმე საინტერესო პროექტს.

- ცხოვრების განვლილი ეტაპებიდან რომელ პერიოდს გამოყოფთ?

__- ალბათ,__ ახალგაზრდობის საქმეთა სახელმწიფო დეპარტამენტის პრესსამსახურის ხელმძღვანელობის ათწლიან პერიოდს, როცა ქალაქში ჩვენი დეპარტამენტი უძღვებოდა ყველა ახალგაზრდულ ღონისძიებას: საერთაშორისო კონფერენციებს, სემინარებს, ახალგაზრდულ ბანაკებს, სტუდენტურ დღეებს, მხიარულთა და საზრიანთა კონკურსსა და სტუდენტურ მეჯლისს, რომლებიც ჩვენს ბათუმს განუმეორებელ ემოციებსა და სილამაზეს ჩუქნიდა.

- ადამიანები, რომელთა არსებობამ და მაგალითმა ძალა შეგმატათ...

__- ჩემი__ მშობლები - მათი არსებობა ჩემს ცხოვრებაში იყო ყველაზე დიდი გამართლება, რადგან ზუსტად მასწავლეს, რა ფასეულობები და ღირებულებებია საჭირო იმისათვის, რომ სწორად იცხოვრო, სხვებს სიხარული მიანიჭო, ადამიანები დააფასო, პატივი სცე და გიყვარდეს ყველაფრის მიუხედავად, აკეთო სიკეთე და ეს სიამოვნებას განიჭებდეს.

- ამბობენ, რომ განსაკუთრებული დედა ხართ...

__- ამბობენ,__ მაგრამ ვთვლი, რომ არაფერი - განსაკუთრებული, უბრალოდ, ვცდილობ, ჩემმა შვილმა ზუსტად განსაზღვროს პრიორიტეტები ცხოვრებაში: რა, როგორ, რატომ და რისთვის უნდა?!.. და სულ ვეუბნები, რომ ცხოვრებაში არსებობს ერთი ოქროს წესი, რომელსაც ყველა უნდა იცავდეს: არასოდეს გაუკეთო ადამიანებს ის, რაც არ გინდა, რომ შენ გაგიკეთონ!

- ოჯახი პატარა სახელმწიფოა, ვინ არის მისი სული და გული, წარმმართველი საკუთარი ოჯახის მაგალითზე?

__- ჩვენთან__ აბსოლუტური დემოკრატიაა მმართველობის მხრივ (იცინის). მე და ლაშა შეთანხმებულად, ურთიერთპატივისცემითა და ურთიერთსიყვარულით ვაგვარებთ ყოფით, სამსახურებრივ თუ საზოგადოებრივ საკითხებს. რა თქმა უნდა, თეკლას აზრიც განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია.

- რა მატებს ადამიანს სულიერ ძალას და თქვენ პირადად?

__- ჩემი__ ოჯახი და ჩემი შვილი... როცა უიმედობა და დეპრესია დამრევს ხელს, მახსენდება თეკლა და ვფიქრობ, რომ ცუდად ყოფნის უფლება არ მაქვს.

იხ. მე-8 გვ.

„ბევრი რამ არ მომწონს, ყველაზე მეტად კი არაპროფესიონალიზმი, სიბრიყვე, აფერისტობა, მლიქვნელობა, პირფერობა, უწიგნურობა, ზიზღი, უმადურობა, სიძულვილი, დაცინვა, მცირედმორწმუნეობა, ქილიკი, საზოგადოების ორპოლუსიანობა... ამ ყველაფრის შეცვლას შევძლებთ, თუკი ერთმანეთის აზრს პატივს ვცემთ, საკუთარ თვალში დირეს შევამჩნევთ, ვიდრე სხვის თვალში ბეწვს დავინახავდეთ და როცა ყველა ჩვენს საქმეს კეთილსინდისიერად შევასრულებთ

უკრაინა

რუსეთის უკრაინაში შეჭრის მიზნები სრულად ჩავარდა, განიცადა სტრატეგიული მარცხი და შესაძლოა, - დამარცხებაც. ამის შესახებ აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ენტონი ბლინკენმა განაცხადა. „რუსეთს სამი მიზანი ჰქონდა: დაემორჩილებინა უკრაინა თავისი ნებისთვის; უარეყო მისი სუვერენიტეტი და დამოუკიდებლობა; დაემტკიცებინა რუსეთის ძალაუფლება; - დაეყო დასავლეთი, დაეყო ალიანსი. ეს სამივე ფრონტზე ჩაიშალა“, - თქვა ბლინკენმა. მისი თქმით, უკრაინა ახლა უფრო ერთიანი გახდა. „ეს არის სუვერენული, დამოუკიდებელი უკრაინა, რომელიც იქ გაცილებით მეტხანს იქნება, ვიდრე ვლადიმირ პუტინი - სცენაზე“, - განაცხადა აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა. მან დასძინა, რომ რუსეთის ძალა მნიშვნელოვნად შემცირდა და მისი არმია ძალიან ჩამორჩა.

* * *

მეცნიერები გარანტიას იძლევიან, რომ რუს ოკუპანტებს, რომლებიც ჩერნობილის მახლობლად, წითელ ტყეში და ზოგადად, აკრძალულ ზონაში ტრიალებდნენ, რადიაციის დასხივების შედეგად, ჯანმრთელობის დიდი პრობლემები და მძიმე ტანჯვა ელოდებათ. „ისინი დაზარალდებიან, ძალიან დაზარალდებიან. სხეულის ყველა ორგანო და სისტემა ზიანდება. პირველ რიგში, ეს არის სისხლის მიმოქცევის სისტემა... ეს არის ლორწოვანი გარსები, ეს არის სექსუალური ფუნქციის დარღვევა. ახალგაზრდებმა შეიძლება დაკარგონ გამრავლების უნარი“, - ამბობს აკადემიკოსი იგნატ მატასარი.

* * *

მინდა, სრული პასუხისმგებლობით აღვნიშნო, რომ არცერთ მშვიდობიან მოქალაქეს არ განუცდია ძალადობა, როდესაც ქალაქ ბუჩას რუსეთის შეიარაღებული ძალები აკონტროლებდა, - ამის შესახებ აშშ-ში რუსეთის ელჩმა ანატოლი ანტონოვმა განაცხადა. „რუსეთის თავდაცვის სამინისტრომ სრულად უარყო ეს ცრუ ბრალდებები. მინდა აღვნიშნო, რომ რუსულმა ჯარებმა ბუჩა 30 მარტს დატოვეს. უკრაინის ხელისუფლება მთელი ამ დღეების განმავლობაში დუმდა და ახლა მოულოდნელად აქვეყნებს სენსაციურ კადრებს, რათა შელახოს რუსეთის იმიჯი“, - განაცხადა ანტონოვმა. მისი თქმით, აშშ-ში შეგნებულად უგულებელყვეს ის ფაქტი, რომ უკრაინის შეიარაღებულმა ძალებმა ქალაქი ბუჩა რუსეთის ჯარების წასვლისთანავე დაბომბეს. „ის ფაქტი, რომ უკრაინის შეიარაღებულმა ძალებმა დაბომბეს ქალაქი ბუჩა რუსეთის ჯარების წასვლისთანავე, შეერთებულ შტატებში შეგნებულად უგულებელყვეს. ეს არის ის, რასაც შეიძლება გამოეწვია მშვიდობიანი მოსახლეობის მსხვერპლი. კიევის რეჟიმი აშკარად ცდილობს, თავისი სისასტიკე რუსეთს გადააბრალოს“, - დასძინა მან.

* * *

ჩერნიგოვის რეგიონში ოკუპანტებს სარდაფში 150-ზე მეტი მძევალი ჰყავდათ დატყვევებული. ამის შესახებ ოლქის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა ვიაჩესლავ ჩაუსმა განაცხადა. ოკუპანტები მოსახლეობას სოფელ იაგოდნოეს სკოლის სარდაფში, შევიწროებულ და ანტისანიტარიულ პირობებში ამყოფებდნენ. „აქ დაავადდნენ და დაიღუპნენ. აქ ცოცხლები იყვნენ მიცვალებულების გვერდით. შიმშილი, წყურვილი, შიში, სასოწარკვეთა, ტუალეტი ვედროზე, უჰაერობა, ბავშვები... იქ ქალები და ბავშვები იყვნენ... საშინელებაა. ამისთვის მტერი აუცილებლად აგებს პასუხს. პასუხს აგებს სრულად“, - განაცხადა ჩაუსმა.

* * *

ევროკავშირი ოთხშაბათს რუსეთის წინააღმდეგ სანქციების ახალ პაკეტს განიხილავს. ამის შესახებ, წყაროზე დაყრდნობით, Financial Times იუწყება. საუბარია პერსონალურ შეზღუდვებზე, პორტების გამოყენების აკრძალვაზე, ექსპორტის შეზღუდვებსა და ენერგორესურსების ემბარგოზე.

* * *

რუსულმა სახელმწიფო ვებგვერდმა „რია ნოვოსტიმ“, გამოაქვეყნა ტიმოფეი სერგეიცევის სტატია „რა უნდა გაუკეთოს რუსეთმა უკრაინას“. ავტორი ეთნიკური წმენდისა და ეთნოციდის აუცილებლობას ამართლებს, „დე-უკრაინიზაციის“ საჭიროებაზე საუბრობს და ოცნებობს ამის მიღწევაზე უკრაინის მცხოვრებლების მასობრივი რეპრესიების საშუალებით. რამდენიმე ამონარიდი სტატიიდან: „განსხვავებით, ვთქვათ, საქართველოსგან ან ბალტიისპირეთის რესპუბლიკებისგან, უკრაინა, როგორც ისტორიამ გვაჩვენა, შეუძლებელია, იყოს ეროვნული სახელმწიფო... ამიტომაც, უკრაინის დენაციფიკაცია ეს მისი გარდაუვალი დეევროპეიზაციაცაა“. „არავითარი „მარშალის გეგმის“ დაშვება ამ ტერიტორიისთვის არ შეიძლება. არავითარი „ნეიტრალიტეტი“... „დენაციფიკაცია გარდაუვალად იქნება დეუკრაინიზაციაც, თუმცა, ხელმძღვანელობასთან ერთად, დამნაშავეა ხალხის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომლებიც პასიური ნაცისტები არიან, ნაცისტების თანამზრახველები“. „მოსახლეობის ამ მასის დენაციფიკაცია მდგომარეობს მის ხელახალ აღზრდაში, რომელიც მიიღწევა იდეოლოგიური რეპრესიებით და მკაცრი ცენზურით: არა მხოლოდ პოლიტიკურ, არამედ, აუცილებლად, კულტურის და განათლების სფეროშიც“.

* * *

საფრანგეთის პრეზიდენტ ემანუელ მაკრონის განცხადებით, მისი სურვილია, მიმდინარე კვირას ევროკავშირში რუსული ნახშირისა და ნავთობის ექსპორტის სრული ბლოკადა ნახოს. ამის შესახებ მან რუსი სამხედროების მიერ ბუჩაში ჩადენილი ომის დანაშაულის ფაქტების გასაჯაროების შემდეგ განაცხადა. ფრანგულ მედიასთან საუბარში მაკრონმა აღნიშნა, რომ ძალიან ცხადი ნიშნებია იმისა, რომ რუსეთმა ომის დანაშაული ჩაიდინა ბუჩაში. „ფაქტობრივად დადგენილია, რომ სწორედ რუსეთის ჯარია მომხდარზე პასუხისმგებელი. ჩვენ ეს არ უნდა გავატაროთ, უნდა დავაწესოთ სანქციები. ეს შეაჩერებს იმას, რაც მოხდა ბუჩაში და რაც ხდება მარიუპოლში. მათ, ვინც ამ დანაშაულის უკან დგანან, პასუხი უნდა აგონ. ჩვენ უნდა გავაგზავნოთ სიგნალი, რომ ეს არის ჩვენი კოლექტიური ღირსება და ჩვენი ღირებულებები, რომელსაც ვიცავთ. არ არსებობს მშვიდობა სამართლიანობის გარეშე“, - განაცხადა მაკრონმა. მისი თქმით, ის ევროპელ პარტნიორებთან განიხილავს შემდგომ სანქციებს. ამასთან, როგორც პრეზიდენტმა მაკრონმა აღნიშნა, საფრანგეთი მზადაა, დაეხმაროს უკრაინას ბუჩაში მომხდარის გამოძიებაში.

* * *

ცნობილი გახდა რუსი ოკუპანტების მიერ წამების და სიკვდილით დასჯის ოთახებად გადაკეთებული შენობის მისამართი. ეს არის ბავშვთა სანატორიუმი „პრომენისტი“ (ბუჩა, ვოკზალნაიას ქ. №123). სწორედ იქ, ბავშვთა სანატორიუმის სარდაფში იპოვეს ოკუპანტების მიერ დახვრეტილი ხუთი მშვიდობიანი უკრაინელი.

* * *

რუსები სანქცირებული საქონლის კონტრაბანდის არხს საქართველოს ტერიტორიაზე აყალიბებენ. ამის შესახებ უკრაინის თავდაცვის სამინისტროს დაზვერვის მთავარი სამმართველოს განცხადებაშია ნათქვამი. „საერთაშორისო სანქციების დაწესების გამო, რუსეთის ფედერაციამ დაკარგა სამხედრო, ორმაგი დანიშნულების და სამოქალაქო საქონლის ფართო სპექტრის მიწოდების შესაძლებლობა. სანქციების გვერდის ავლით, რუსეთის აგენტები აყალიბებენ კონტრაბანდის არხებს, რომლებიც გადის, კერძოდ, საქართველოს ტერიტორიაზე. ამასთან, საქართველოს სპეცსამსახურების წარმომადგენლებს პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ დაავალა, არ ჩარეულიყვნენ კონტრაბანდისტების საქმიანობაში“, - ნათქვამია უწყების ანგარიშში. დღეისათვის ცნობილია რუსეთის ფედერაციისთვის სამხედრო საქონლის მიწოდების კიდევ ერთი არხი - აღმოსავლეთ აზია. მისი მეშვეობით ოკუპანტ ქვეყანას მიეწოდება აღჭურვილობის, ელექტრონიკის და ოპტიკური ინსტრუმენტების სათადარიგო ნაწილები.

მოამზადა
ნაირა ფუტკარაძემ

„ეს კაცი სასტიკია, პასუხი უნდა აგოს“

ასე გამოეხმაურა აშშ-ის პრეზიდენტი ჯო ბაიდენი კიევის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე ქალაქ ბუჩაში მომხდარ სისასტიკეს, რომელიც რუსმა სამხედროებმა ჩაიდინეს.

„შეიძლება გახსოვთ, გამაკრიტიკეს იმის გამო, რომ პუტინს ომის დამნაშავე ვუწოდე. თქვენ ნახეთ, რაც მოხდა ბუჩაში... ის ომის დამნაშავეა, - აღნიშნა ბაიდენმა, - ჩვენ უნდა შევაგროვოთ ინფორმაცია... უნდა გავაგრძელოთ უკრაინისთვის იარაღის მიწოდება, რომელიც მას ბრძოლის გასაგრძელებლად სჭირდება და ჩვენ უნდა მივიღოთ ყველა დეტალი, რათა ამ საქმეზე ომის დანაშაულების სასამართლო პროცესი გაიმართოს. მან [პუტინმა] პასუხი უნდა აგოს“, - დასძინა თეთრი სახლის ლიდერმა.

ბაიდენმა იქვე აღნიშნა, რომ ის რუსეთის წინააღმდეგ უფრო მეტი სანქციების დაწესების მომხრეა.

ამირან ბურიელიძე

„განათლების სისტემამ ხულოში თაობათა ცვლის პროცესს ისე გაუძლო, რომ არ დაზარალებულა“

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

გასული წლის სექტემბრიდან ხულოს საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი ედუარდ მიქელაძე, განათლების ხარისხის ასამაღლებლად დიდ ბრიტანეთში მიავლინეს. მოვალეობის შესრულება პროფესიით იურისტს გენრო აბაშიძეს დააკისრეს. იგი სისტემაში მიმდინარე პროცესებზე საუბრობს

- 2010 წლიდან ვმუშაობ ხულოს საგანმანათლებლო რესურსცენტრში მთავარი სპეციალისტის (იურისტის) პოზიციაზე. აქამდეც, მოკლე ვადით, არაერთხელ შემისრულებია რესურსცენტრის უფროსის მოვალეობა.

- მართალია, წლებია, ამ სისტემაში საქმიანობთ, მაგრამ პანდემიისა და სხვა გარემოების გამო, დიდი პასუხისმგებლობის წინაშე დადექით.

- მთავარი სპეციალისტის პოზიციიდანაც აქტიურად ვიყავი ჩართული რესურსცენტრის საქმიანობაში პანდემიამდეც და შემდგომ პერიოდშიც. ამიტომ ჩემთვის რესურსცენტრის მართვა უცხო არ არის. 2021-2022 სასწავლო წლის საკლასო ოთახებში დასაწყებად, რესურსცენტრი და სკოლები სრულად მზადყოფნაში იყო როგორც ინფრასტრუქტურის თვალსაზრისით, ასევე, ადამიანური რესურსით. პედაგოგთა თითქმის 90% ვაქცინირებულია. სრულად იყო შემოტანილი სასკოლო სახელმძღვანელოები და ყველა აუცილებელი რესურსი, მათ შორის, კოვიდ-პანდემიასთან დაკავშირებული რეგულაციების დასაცავად საჭირო სადეზინფექციო ხსნარები, პირბადეები... მაგრამ პანდემიამ მაინც არ მოგვცა საშუალება და სკოლები ორი კვირით, ონლაინფორმატში დავიწყეთ. სკოლა უკვე მესამე წელია რეგულაციების რეჟიმში მუშაობს, შევეჩვიეთ ვირუსთან ცხოვრებას. არსებულ სირთულეებს დაემატა ხულოსათვის დამახასიათებელი დიდთოვლობა, თუმცა სკოლებში გათბობისათვის საჭირო ყველა ღონისძიება დროულად იყო განხორციელებული და პრობლემა არ შექმნილა. იანვრის ბოლოს და თებერვლის დასაწყისში ახალი შტამის გავრცელების მასშტაბებმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა, რის გამოც, სკოლების ნაწილში მხოლოდ ონლაინრეჟიმში წარიმართა სწავლება. პედაგოგები უყურადღებოდ არ ტოვებდნენ იმ მოსწავლეებს, ვინც ვერ შეძლო იზოლაციის პერიოდში სკოლაში მისვლა, უკავშირდებოდნენ და დამატებით უტარებდნენ ონლაინგაკვეთილებს. ამჟამად ყველა კლასსა და სკოლაში სასწავლო პროცესი მიმდინარეობს საკლასო ოთახებში.

- რა არის მთავარი, რომ განათლების სისტემა თანამედროვე მოთხოვნებს პასუხობდეს?

- პირველ რიგში, პროფესიონალიზმი. განათლების სისტემამ ხულოში თაობათა ცვლის პროცესს ისე გაუძლო, რომ არ დაზარალებულა. გამოცდილი, მრავალწლიანი სტაჟის მქონე მასწავლებლების პედაგოგიურ ჯილდოზე გასვლის შემდეგ, სკოლებში მოვიდნენ ადგილობრივი, ასევე ცალკეული პროგრამით მოვლინებული მასწავლებლები, რომლებიც დაკისრებულ მოვალეობას პირნათლად ასრულებენ.

- სასკოლო რეფორმა, მიგრაციული პროცესები, სკოლების კვალიფიციური პედაგოგებით დაკომპლექტებაზე ზეგავლენას ახდენს. რას აკეთებთ დეფიციტის შესავსებად?

- ყველა დროში და ახლაც ხულოს სკოლებს სათავეში ედგნენ გამოცდილი, ორგანიზატორული ნიჭით დაჯილდოებული, პროფესიონალი დირექტორები. მათზე ბევრია დამოკიდებული, რასაც წარმატებით ართმევენ თავს. ისინი ცდილობენ, სკოლებში დაასაქმონ ნიჭიერი, პროფესიაზე შეყვარებული ახალგაზრდა სპეციალისტები. მიმდინარე სასწავლო წლისთვის ბევრი ვაკანსია გვქონდა, ასეა ახლაც, მხოლოდ რამდენიმე ახალი მასწავლებელი გვყავს. იმ მასწავლებლებს, ვისაც სტატუსი შეუწყდა და გამოცხადებულ ვაკანსიაზე ვერ შეირჩა კადრი, დროებითი ხელშეკრულებები გავუფორმეთ სასწავლო წლის ბოლომდე. იმ საგნებში, სადაც გვაქვს კადრის მოძიების პრობლემა, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ქვეპროგრამის „ვასწავლოთ წარმატებისათვის“ ფარგლებში ხდება ვაკანსიის შევსება. ამჟამად, ამ პროგრამით ჩვენს სკოლებში დასაქმებულია 17 პედაგოგი. დაწყებულია მასწავლებლებისა და მასწავლებლობის მსურველებისათვის გამოცდებზე რეგისტრაცია. ვიმედოვნებ, რომ ახალი სასწავლო წლისთვის ბევრი ახალი პედაგოგი შემოვა სკოლებში, როგორც - უფროსი მასწავლებელი.

- ხულოს საჯარო და საქართველოს საპატრიარქოს ხულოს აბუსერისძე ტბელის სკოლები თითქმის ერთმანეთის მომიჯნავედაა. განათლების სისტემის მესვეურთა დამოკიდებულება როგორია ამ ფაქტისადმი?

- სკოლების ხელმძღვანელების, ღვთისმსახურების, პედაგოგების, თუნდაც განათლების სისტემის მესვეურთა მისამართით სამადლობელი სიტყვები გვეთქმის მხოლოდ. თუ ვინმეს ექნება სხვადასხვა აღმსარებლობის მიმდევრების დაპირისპირების მცდელობა, ხულოს მოსახლეობა მხარს არ აუბამს, ესეც ჩვენი პედაგოგების დამსახურებაა. ისინი ერთ სისტემაში, ერთ სკოლაში მუშაობენ, სხვადასხვა სალოცავი აქვთ, მაგრამ ეროვნულობას, ურთიერთპატივისცემას დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ. ხულოს ცენტრში ანდრია პირველწოდებულის ტაძრის საძირკვლის ჩაყრის დღეს ზოგიერთებმა აქციის გამართვა დააპირეს, მაგრამ მხარდამჭერები ვერ ნახეს. პედაგოგების ერთი ნაწილი ტაძარში ლოცულობს, ნაწილი - მეჩეთში. ისინი პროფესიული მოვალეობის უბადლო შემსრულებელნი არიან. ჩვენი მხრიდან, მათ საქმიანობას ვაფასებთ, ხოლო აღმსარებლობაზე ვერაფერს ვიტყვით, ყველას თავისი შეხედულება აქვს.

- საუკუნეზე მეტია გასული ხულოს სოფლებში ქართული სკოლების აღდგენის დღიდან. ბევრგან ეს მოვლენა სახალხოდ იზეიმეს. მომავალში თქვენგან და სამინისტროს ხელმძღვანელობისგან თანადგომა თუ ელოდებათ?

- თაობები მდიდარი წარსულით დღემდე საზრდოობენ. ჩვენი სკოლების ხელმძღვანელების, თუნდაც თვითმმართველობის ადგილობრივი ორგანოების ხელმძღვანელთა ვალია, გამორჩეული პატივი მივაგოთ მოვლინებულ პედაგოგებს. პირველ ადგილობრივ კადრებს, იმ დროს მათი საქმიანობა გმირობის ტოლფასი იყო.

- რატომღაც, დროში გაიწელა ბეღლეთის საჯარო სკოლის საექსპლუატაციოდ გადაცემა. ეს რას მივაწეროთ?

- ვადები მართლაც გაიწელა, რაც ობიექტურ მიზეზებთანაა კავშირში. მსოფლიო ბაზარზე სამშენებლო მასალების ფასები არასტაბილურია, პანდემიამაც შეაფერხა მსგავსი პროექტების განხორციელება. აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ხელმძღვანელობა მშენებარე სკოლის მდგომარეობით ინტერესდება. ჩვენი ხშირი სტუმარი იყო სამინისტროს საერთაშორისო და საზოგადოებასთან ურთიერთობების დეპარტამენტის, საზოგადოებასთან და მასმედიასთან ურთიერთობების განყოფილების უფროსი თეა ვადაჭკორია. ვსარგებლობ შემთხვევით და თქვენი გაზეთით კიდევ ერთხელ პატივს მივაგებ მის ნათელ ხსოვნას.

- მთავრდება პირველკლასელთა და აბიტურიენტთა რეგისტრაცია. რა მოლოდინი გაქვთ?

- წელს ხულოს სკოლებს 293 კურსდამთავრებული გამოემშვიდობება, მათგან 90 პროცენტი ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ცდის ბედს. გასული წლების შედეგებს თუ გადავხედავთ, სტაბილური მაჩვენებლები გვაქვს - აბიტურიენტთა 70-75 პროცენტი სტუდენტი ხდება, ბევრი გრანტს ეუფლება. ჩვენგან წარგზავნილ სტუდენტებს სასიკეთოდ წაადგა „მთის კანონი“. წარმატებული სტუდენტები გადასახადებისგან თავისუფლდებიან. ერთი პერიოდი, უმაღლესდამთავრებული ახალგაზრდები მშობლიურ მუნიციპალიტეტში აღარ ბრუნდებოდნენ, ამჯერად ეს პროცესი ნორმალურად მიმდინარეობს - ისინი საქმდებიან სკოლებში, საბიუჯეტო დაწესებულებებში, არასამთავრებო ორგანიზაციებს აფუძნებენ, მათ შორისაა „სოლიდარობის თემი“, „ნაომარი“, „ხულოს ადგილობრივი განვითარების ფონდი“.

- 1200-ზე მეტი პედაგოგიდან მენტორი მასწავლებლის სტატუსი მხოლოდ ერთს აქვს მოპოვებული...

- 2022 წლამდე მხოლოდ ერთი მენტორი პედაგოგი გვყავდა წმინდა აბუსერისძე ტბელის სახელობის სკოლაში, ახლა კიდევ ერთ, სსიპ „ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ღურტის საჯარო სკოლის“ პედაგოგს მიენიჭა მენტორი მასწავლებლის სტატუსი. როგორც უკვე აღვნიშნე, დაწყებულია უფროსის, წამყვანისა და მენტორის სტატუსის მოსაპოვებლად მასწავლებელთა გამოცდებზე რეგისტრაცია. იმედს ვიტოვებთ, რომ მენტორთა რაოდენობა ახალი სასწავლო წლისთვის მოიმატებს.

- ხულოს წარმატებული სპორტსმენები არ აკლია. რას აკეთებთ სპორტის მასობრიობისთვის?

- ამ დღეებში ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ევროპის პირველობა გაიმართა. 4 ხულოელი ფალავანი გამოდიოდა ამ ჩემპიონატზე და წარმატებაც მოიპოვეს. თავისუფალ, ქართულ ჭიდაობაში, მკლავჭიდში, მაგიდის ჩოგბურთში წარმატებული სპორტსმენები საკმაოდ გვყავს. ისინი მასობრივ სპორტს სკოლის კედლებში ეზიარნენ. წუთისოფელში აღარ არიან გოდერძი ბოლქვაძე, ლევან შავაძე. მათ საქმეებს ავთო აბულაძე, მალხაზ სოლომონიძე, გრიგოლი შანთაძე და სხვები აგრძელებენ. სპორტულ-მასობრივი მუშაობა კარგად მიდის ბოძაურის, დიდაჭარის, ფაჩხის, ძმაგულის, ქვემო ვაშლოვანის, დაბა ხულოს, ოქრუაჯვილების, ღორჯომის სკოლებში. მალე დაბა ხულოში თანამედროვე სტანდარტების შესაფერისი სპორტის სასახლე გვექნება, რაც სახელოვანი სპორტსმენების აღზრდა-მომზადების კერად იქცევა.

- რა თანხებია მობილიზებული ახალი შენობების ასაშენებლად და არსებულის სარეაბილიტაციოდ?

- დასრულდა დიაკონიძეებისა და ღორჯომის საჯარო სკოლების სახურავის შეცვლა, ასევე, თითქმის დასრულებულია სოფელ განახლების საჯარო სკოლის მშენებლობა. მარშან დაიწყო და წელსაც გაგრძელდება კალოთაში ახალი სკოლის მშენებლობა. აღნიშნული სამუშაოებისათვის აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ბიუჯეტიდან 1 660 000 ლარზე მეტია გამოყოფილი. სამინისტროს პროგრამების ფარგლებში ხდება ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდი. ასევე, სკოლებში შეტანილია სპორტული ინვენტარი, სხვადასხვა სახის მუსიკალური ინსტრუმენტები, საბუნებისმეტყველო საგნებისთვის გაიხსნა ლაბორატორიები. როგორც ქვეყნის ხელისუფლების, ასევე ადგილობრივი ხელმძღვანელობისთვისაც, განათლება პრიორიტეტულია. ათეულობით მიერთებული სკოლა აშენდა და გარემონტდა ადგილობრივი ბიუჯეტიდან. კეთდება სკოლებთან მისასვლელი გზები, ბილიკები, ღია და დახურული სპორტული მოედნები, გვარდება სასმელი და ტექნიკური წყლის პრობლემები. გვიფინანსებენ სპორტულ, კულტურულ და საგანამანათლებლო ღონისძიებებს, კონკურსებს, მასწავლებელთა კონფერენციებს.

- რას სთავაზობთ ახალგაზრდებს, დამწყებ პედაგოგებს?

- ახალბედებს ჩვენგან ხელშეწყობა არ მოაკლდებათ. ბოლო წლებში 100-ზე მეტი მასწავლებელი მივიღეთ კონკურსის წესით. მათი უმრავლესობა ახალგაზრდაა. ვინც სათანადოდ სერტიფიცირებულია, უპრობლემოდ შემოდის სკოლაში. განვითარების შანსს ვაძლევთ მაძიებელ მასწავლებლებსაც, მათ ორი წლის განმავლობაში უნდა შეძლონ კომპეტენციის დადასტურება, მაძიებლობის პროგრამის წარმატებით გავლა.

> ***„ახალბედებს ჩვენგან ხელშეწყობა არ მოაკლდებათ. ბოლო წლებში 100-ზე მეტი მასწავლებელი მივიღეთ კონკურსის წესით. მათი უმრავლესობა ახალგაზრდაა. ვინც სათანადოდ სერტიფიცირებულია, უპრობლემოდ შემოდის სკოლაში. განვითარების შანსს ვაძლევთ მაძიებელ მასწავლებლებსაც, მათ ორი წლის განმავლობაში უნდა შეძლონ კომპეტენციის დადასტურება, მაძიებლობის პროგრამის წარმატებით გავლა“***

ირაკლი ღარიბაშვილი: აღარ მინდა, პატიმრებზე ვისაუბრო, ახლა ჩვენ საქმეზე უნდა ველაპარაკოთ ხალხს

პირველი გვერდიდან

ჩვენი ქვეყნისთვის, ეროვნული ინტერესებისთვის, ხალხის ინტერესებისთვის, მხოლოდ იმ პოლიტიკას გავატარებ. ეს ძალიან ერთმნიშვნელოვნადაა ნათქვამი და მინდა, ეს განცხადება, ჩემი ეს სიტყვა, იქნას მკაფიოდ გაგებული“. მისი თქმით, უკრაინელი ხალხის სოლიდარობა საქართველოს მოქალაქეებმა სხვა ფორმით უნდა გამოხატონ, მათ შორის, ჰუმანიტარული ტვირთის გაგზავნით, აქ ჩამოსული მოქალაქეების დახმარებით.

ჟურნალისტებთან საუბრისას ირაკლი ღარიბაშვილმა შუალედური არჩევნების შედეგები შეაფასა და „ქართული ოცნების“ კანდიდატებს გამარჯვება მიულოცა. „ბათუმში ჩვენმა კანდიდატმა დამაჯერებლად გაიმარჯვა - 70% აიღო და მე მინდა მას მივულოცო. ამით ყოველგვარი სპეკულაცია დასრულებულია. ახლა ჩვენი მთავარი საზრუნავი უნდა იყოს სიმშვიდის და სტაბილურობის შენარჩუნება“.

პრემიერ-მინისტრმა აჭარაში ვიზიტისას ბათუმის საზღვაო აკადემიის ახალი სამწვრთნელო ცენტრი დაათვალიერა. როგორც მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, 2012 წლიდან დღემდე სახელმწიფომ 30 მილიონ ლარამდე ინვესტიცია განახორციელა ბათუმის საზღვაო აკადემიის განვითარებისთვის. პრემიერის თქმით, აკადემია შავი ზღვის რეგიონში ერთ-ერთი საუკეთესო სასწავლებელია.

აკადემიის სტუდენტებისა და მოქმედი მეზღვაურებისთვის თანამედროვე და მრავალფუნქციური საწვრთნელი აუზიც გაიხსნა, რომლის ბაზაზეც სტუდენტებსა და მეზღვაურებს რეალურთან მიახლოებულ, სხვადასხვა ამინდის სიმულირების პირობებში შეუძლიათ გაიარონ პირველადი და კოლექტიური უსაფრთხოების, ზღვაზე გადარჩენის და სამაშველო ოპერაციების ჩატარების წვრთნები. აუზი იძლევა წყალქვეშა ცურვის წვრთნების გავლის შესაძლებლობასაც. საზღვაო აკადემიაში პრემიერს საჩუქრად აკადემიის სტუდენტების მიერ დამზადებული გემის მაკეტი გადასცეს.

ირაკლი ღარიბაშვილმა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიყვაძესთან და ბათუმის მერ არჩილ ჩიქოვანთან ერთად ბათუმში ავარიული სტატუსის მქონე საცხოვრებელი სახლები დაათვალიერა, რომელთა ჩანაცვლებასაც მთავრობა მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამის - „ბათუმი ავარიული სახლების გარეშე“ ფარგლებში გეგმავს. მთავრობის მეთაური ავარიულ სახლებში მცხოვრებ მოსახლეობას შეხვდა, მათი საჭიროებების შესახებ ინფორმაცია მოისმინა. პრემიერ-მინისტრის თქმით, ბათუმში მწვავედ დგას ავარიული სტატუსის მქონე საცხოვრებელი სახლების პრობლემა, რაც საფრთხეს წარმოადგენს მოქალაქეებისათვის. აღნიშნულ პრობლემას ხელისუფლება უმოკლეს ვადაში გადაჭრის.

დღის ბოლოს პრემიერ-მინისტრმა თანმხლებ პირებთან ერთად ბათუმის ბულვარში გაისეირნა.

ელენე საყვარელიძე

„საქსტატის“ ინფორმაციით...

ნაირა ფუტკარაძე 27 48 93

2022 წლის მარტში, შაქარსა და სხვა ტკბილეულზე, ხილზე, ყავაზე, ჩაისა და კაკაოზე, ზეთზე, პურსა და პურპროდუქტებზე, რძის პროდუქტებზე, ხორცსა და მინერალურ წყალზე, ასევე, უალკოჰოლო სასმელებზე ფასები გაიზარდა. ამასთან, ფასები შემცირდა ბოსტნეულსა და ბაღჩეულზე, - ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური ავრცელებს.

„საქსტატის“ ცნობით, ყოველთვიური ინფლაციის მაჩვენებლის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა ასევე იქონია ფასების ცვლილებამ ტრანსპორტის ჯგუფში. კერძოდ, ტრანსპორტზე ფასები გაიზარდა 8,9 პროცენტით, რაც მთლიანი ინდექსის ზრდაზე 1,03 პროცენტული პუნქტით აისახა. „ფასები გაზრდილია პირადი სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციაზე (11,9%), სატრანსპორტო მომსახურებაზე (3,3%) და სატრანსპორტო საშუალებების შეძენაზე (1,3%); სურსათი და უალკოჰოლო სასმელები: ჯგუფში ფასები გაიზარდა 2,0 პროცენტით, რაც თვის ინფლაციაზე 0,68 პროცენტული პუნქტით აისახა. ფასები მომატებულია შემდეგ ქვეჯგუფებზე: შაქარი, ჯემი და სხვა ტკბილეული (6,6%), ხილი და ყურძენი (5,0%), ყავა, ჩაი და კაკაო (4,3%), ზეთი და ცხიმი (3,4%), პური და პურპროდუქტები (3,1%), მინერალური და წყაროს წყალი, უალკოჰოლო სასმელები და ნატურალური წვენები (2,1%), ხორცი და ხორცის პროდუქტები (1,7%), რძე, ყველი და კვერცხი (1,4%). ამასთან, ფასები შემცირდა ბოსტნეულსა და ბაღჩეულზე (-4,0%)“, - ნათქვამია ინფორმაციაში. რაც შეეხება წლიური ინფლაციის ფორმირებას, „საქსტატის“ ცნობით, ძირითადი გავლენა ფასების ცვლილებაზე სურსათსა და უალკოჰოლო სასმელების ჯგუფში ფასების ზრდამ იქონია, რაც მომატებულია 17,8 პროცენტით და წლიურ ინფლაციაზე 5,69 პროცენტული პუნქტით აისახა. „ფასები მომატებულია შემდეგ ქვეჯგუფებზე: ბოსტნეული და ბაღჩეული (27,0%), მინერალური და წყაროს წყალი, უალკოჰოლო სასმელები და ნატურალური წვენები (24,6%), პური და პურპროდუქტები (23,5%), შაქარი, ჯემი და სხვა ტკბილეული (20,0%), თევზეული (19,0%), ზეთი და ცხიმი (17,1%), ხილი და ყურძენი (16,8%), რძე, ყველი და კვერცხი (15,3%), ყავა, ჩაი და კაკაო (14,1%), ხორცი და ხორცის პროდუქტები (10,5%); ტრანსპორტის ჯგუფში ფასები გაიზარდა 21,6 პროცენტით, რაც 2,6 პროცენტული პუნქტით აისახა მთლიანი ინდექსის ზრდაზე. ფასები მომატებულია პირადი სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციაზე (29,5%), სატრანსპორტო მომსახურებაზე (6,1%) და სატრანსპორტო საშუალებების შეძენაზე (3,8%); საცხოვრებელი, წყალი, ელექტროენერგია, აირი: ჯგუფში დაფიქსირდა ფასების 8,4-პროცენტიანი მატება, რაც 0,85 პროცენტული პუნქტით აისახა წლიურ ინფლაციაზე.ფასები გაიზარდა ქვეჯგუფებზე: საცხოვრებლის მიმდინარე მოვლა და შეკეთება (12,9%), ელექტროენერგია, აირი და სათბობის სხვა სახეები (11,3%) და ფაქტიური გადასახადი საცხოვრებელზე (2,4%)“, - ნათქვამია გავრცელებულ ინფორმაციაში.

„ბოროდიანკაში ვითარება ბუჩაზე უარესია“

უკრაინის გენერალურმა პროკურორმა ირინა ვენედიქტოვამ განაცხადა, რომ ქალაქი ბოროდიანკა ყველაზე მეტად დაზარალდება კიევის რეგიონში რუსეთის შეჭრის შედეგად და იქ ჩადენილი სისასტიკე ბუჩაში მომხდარს დაჩრდილავს. ინფორმაციას „გარდიანი“ ავრცელებს.

ერთ-ერთ უკრაინულ ტელეარხთან საუბრისას, ვენედიქტოვამ აღნიშნა, რომ მსხვერპლის რაოდენობა ბოროდიანკაში უფრო მეტი იქნება, ვიდრე სხვაგან, მაგრამ დამატებით დეტალებზე აღარ ისაუბრა.

„ჩვენ შეგვიძლია ვისაუბროთ კიევის რეგიონზე, რადგან გუშინ ჩვენ მივიღეთ წვდომა ამ ტერიტორიებზე და ამჟამად ვმუშაობთ ირპინში, ბუჩაში, ვორცელში. ფაქტობრივად, ყველაზე უარესი ვითარება სამოქალაქო მსხვერპლის კუთხით, არის ბოროდიანკაში. ვფიქრობ, მასზე ცალკე ვისაუბრებთ“, - დასძინა ვენედიქტოვამ.

ამირან გურიელიძე

სოსო მანჯავიძე: თავისი მასშტაბით, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, დონბასის ფრონტზე უპრეცედენტო საბრძოლო მოქმედებებია მოსალოდნელი

მე-3 გვერდიდან

ადამიანები და ამ დროს რუსული გაზი შეუფერხებლად მიეწოდება ევროპელ მომხმარებელს უკრაინის სატრანზიტო გაზსადენებით. ასევე ცინიკურია სანქციების შერჩევითი ხასიათი. ასე, მაგალითად, ამერიკელები არ უწესებენ სანქციებს ისეთ საექსპორტო საქონელს რუსეთიდან, რომლის დაბლოკვაც მათ ზიანს მიაყენებს. ასეთებია, მაგალითად, ურანი - ატომური სადგურებისთვის, ფოსფატები, კალიუმის შემცველი სასუქები, პალადიუმი, ტიტანი და ასე შემდეგ. ამას იმ ტვინგაცხელებული ადამიანებისთვის ვამბობ, ვინც საქართველოს მთავრობას მოუწოდებს, რომ სანქციებს შეუერთდეს მოსალოდნელი სავალალო შედეგების მიუხედავად. სამხედრო მოქმედებებში ჩაბმის მოწოდების ავტორებზე ვიტყვი - შტატიანი პროვოკატორისა და შეშლილის გარდა, ამას არავინ დაუჭერს მხარს.

- მაინც როგორია თქვენი პროგნოზი დონბასში მოსალოდნელი ბრძოლის შესახებ?

- თანამედროვე ომში, როდესაც მოწინააღმდეგის ავიაცია ბატონობს ცაში, მეორე მხარე კი აქცენტს გამაგრებული ადგილებიდან თავდაცვაზე აკეთებს, ვინაიდან არ ჰყავს შესაბამისი რაოდენობის მობილური ტექნიკა, არტილერია და სხვა, საუბარი იქნება მხოლოდ ვადაზე, გაძლებაზე, თორემ ბრძოლის შედეგი ცნობილია. მე ერთი რამ ვერ გამიგია: რატომ ვერ ხედავენ ამას ის ადამიანები, რომლებიც მონაწილეობენ მსგავსი გადაწყვეტილებების მიღებაში?!

- თითქოს რაღაც საშინელ სპექტაკლს ვესწრებით, ყველა ყველაფერს ვხვდებით და... ისინი ვერ ხვდებიან, ასე იყო თავიდანვე. რუსეთთან რა შანსი ჰქონდათ, ხომ უნდა სცოდნოდათ უკრაინელებს?

- ადამიანებს, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობენ პროცესში, ხშირად უჭირთ მოვლენების ობიექტურად აღქმა. მეორე მხრივ, რბილად რომ ვთქვათ, უკრაინის მთავრობა არ არის დამოუკიდებელი თავის გადაწყვეტილებებში, რაც დიდად განაპირობებს ბევრ ირაციონალურ და მავნე მოქმედებას უკრაინის ეროვნულ ინტერესებთან მიმართებით.

- მთელ ამ სიტუაციაში, როგორ მოიცალა ზელენსკიმ საქართველოსა და მაროკოდან ელჩების გაწვევისთვის?

- საქართველოს მიმართ ზელენსკის ერთი საათითაც არ მოუდუნებია ყურადღება. უკვე კარგა ხანია ყველასთვის გასაგებია, რომ საკაშვილი და ზელენსკი ერთსა და იმავე ძალას წარმოადგენენ. ახლა კიდევ უფრო ცხადად წარმოჩნდა მიშას ჩამოსვლის მიზანი - უზრუნველეყო მეორე ფრონტის გახსნა საქართველოში. ის, რომ ამ ომისთვის უკრაინას ამზადებდნენ, სრულიად ნათელია, თუ გადახედავთ, მაგალითად, იგივე ალექსეი არესტოვიჩის დიალოგებს, სადაც აჟღერებს, რომ „ომი რუსეთთან გარდაუვალია“, რომ „აუცილებლად უნდა ჩაერთონ სამხედრო კონფლიქტებში“ და სხვა.

- ანუ მივიღეთ პასუხი კითხვაზე, რატომ გვეწვია ასე არალეგალური გზით სააკაშვილი საქართველოში?

- ისევე, როგორც კითხვაზე - რატომ ჩავიდა პოროშენკო უკრაინაში? მას დაეკისრა ზელენსკიზე ზეგავლენის ინსტრუმენტის, დამოკლეს მახვილის როლი. იგივე მიზნით ჩამოვიდა აქ სააკაშვილი. ვინაიდან საქართველოს მთავრობა ეურჩება შეკვეთას და არ სურს აშკარა სუიციდზე წასვლა, ზელენსკი ამ ფარსით, ანუ ელჩის გაწვევით, უკმაყოფილებას გამოთქვამს. აყოლილი არიან ამ თემას ქვეყნის მოსისხლე და დაუძინებელი მტრებიც - „ნაცები“ და მათი ფანები. პატრიოტული ემოციების გამძაფრებით და გათამაშებით, ისინი ცდილობენ აიყოლიონ ქართველი ხალხი, მთავრობა და გადაადგმევინონ ნაბიჯი, რომელიც ისეთივე ტრაგიკული შედეგებით დასრულდება, როგორიც უკრაინაშია.

- ბევრი თვლის, რომ უკრაინა თავისუფლებისთვის იბრძვის და სრულიადაც არ მიიჩნევს ტრაგიკულად ომის შედეგებს.

- რას არ მიიჩნევენ - დახოცილ ხალხს, მშვიდობიან მოსახლეობას, განადგურებულ ინფრასტრუქტურას, ეკონომიკას, ქალაქებს და ხელისუფლებას, რომელიც უკვე იმაზე მეტ დათმობაზე მიდის, ვიდრე თავიდან ითხოვდა მოსკოვი?!

- პრინციპში, ჩვენთანაც იგივე არ მოხდა 2008 წელს?

- კი, ზუსტად მეორდება სცენარი, ოღონდ გაცილებით დიდ მასშტაბებში. ისევ, როგორც უკრაინას, ჩვენც მაქსიმალისტურ მიზანზე აგვიყოლიებდნენ და შემდეგ მინიმალურიც სანატრელი გაგვიხდებოდა.

- ოსეთსა და აფხაზეთზე რას იტყვით, ურთიერთგამომრიცხავი განცხადებები რომ გააკეთეს?

- ცხინვალი ყოველთვის ასეთ პოზიციაზე იყო და ახლაც მორჩილად შეასრულა კრემლის დირექტივა, რომლის ერთადერთი მიზანი იყო საქართველოს დაშინება - „თუ ჭკვიანად არ იქნებით, მოგხედავთო“. რაც შეეხება აფხაზეთს, იქ სერიოზული პროცესები მიმდინარეობს, მაგალითად, რუსეთის მოქალაქეების მიერ უძრავი ქონების შესყიდვის გამო. ბიჭვინთის და გაგრის ოლქებში გამოსვლები იყო, რასაც რატომღაც არ აშუქებენ ქართულ მედიაში, არც „ნაცები“ იღებენ ხმას, რაც საინტერესო მოსაზრებებს გვიღვიძებს. ანუ არ „აწყობთ“ ამ საკითხის გაშუქება, რადგან მათ სცენარს ეწინააღმდეგება. რაც შეეხება თავად აფხაზებს, მათი მენტალობიდან გამომდინარე, არ უნდათ რუსეთთან შეერთება. იქაური პოლიტიკური ელიტა აბსოლუტურად სხვაგვარადაა განწყობილი და სხვა გრანდიოზული ეკონომიკური გათვლები და პერსპექტივები აქვს. რუსები კი აღრჭიალებენ კბილებს და გულში მჯიღს იცემენ ჩუმად, მაგრამ ამ ეტაპზე საკითხის გამწვავება ხელს არ აძლევთ. ეს ხომ მთლიანად დაანგრევს მათ იდეოლოგიურ ნარატივს, რასაც კარგად ხვდებიან აფხაზები და ცდილობენ, ეს სათავისოდ გამოიყენონ.

ბათუმის საკრებულოს შუალედურ არჩევნებში რამაზ ჯინჭარაძემ გაიმარჯვა

მე-4 გვერდიდან

- ამის თქმის საფუძველს მხოლოდ გონიო-კვარიათის ოლქში მოპოვებული უმრავლესობა გაძლევთ?

- არა მხოლოდ. გამარჯვება მოვიპოვეთ რუსთავის მაჟორიტარულ ოლქში, იქაც დიდი განსხვავებით. იმდენად თვალსაჩინოა განსხვავება, რომ ფაქტია, ხალხი მიხვდა, ვის მხარეს უნდა დადგეს მშვიდობის და სტაბილურობის შესანარჩუნებლად. ამ პროცესში მთავარი გამარჯვება ხელისუფლების სწორი პოლიტიკა და ხალხის ხედვაა ამ პოლიტიკასთან მიმართებაში. შუალედურმა არჩევნებმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ საქართველოს ბრძენი, განათლებული ამომრჩეველი ჰყავს და დიდმა უმრავლესობამ ზუსტად იცის, რა არის მისი ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესი. მიხარია, რომ „ქართული ოცნების“ ძალისხმევა ამ ექსტრემალურ სიტუაციაში უფრო დაფასდა. კერძოდ, მაშინ დაგვიდგა ხალხი მხარში, როდესაც დაინახეს კონკრეტული რისკები და საშიშროება.

- ოპოზიცია ბრალს გდებთ, რომ ამომრჩეველთა ნაწილი მოისყიდეთ, მეორე ნაწილს წარმოადგენდა „ოცნების“ ერთგული ხალხი, რომელიც ჩაწერეს ბათუმის ამ უბნებში წინასაარჩევნოდ.

- ეს სრული აბსურდია. არჩევნების დღესაც გვეუბნებოდნენ, იცოდეთ, არჩევნები თუ წავაგეთ 1000 ხმით, ვიტყვით, რომ ეს თქვენ მიერ უკანონოდ ჩაწერილი სხვა რეგიონების მცხოვრებლებიაო. როდესაც წააგეს 4 ათასი ხმით, ველარაფერი თქვეს, თანაც ძალიან კარგად იცოდნენ, რომ არავინ ჩაგვიწერია, ეს პროცესი მუდმივად ხდება, ბუნებრივი პროცესია. ის კი არა, ისეთებიც ჩათვალეს, ამავე ოლქში, სხვა მისამართზე რომ გადაეწერნენ. როგორც ხედავთ, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ ისევ თავის ამპლუაშია - როგორც ყოველთვის, ახლაც ცდილობს ბელადის გაფეტიშებით, ტყუილებით და დამახინჯებული სტატისტიკით, რიგითი სიტუაციებიდან გამომდინარე შექმნან არარსებული სურათი, რომელსაც აჯერებენ კიდეც მოქალაქეების ნაწილს. შედეგად, იმაღლებენ რეიტინგს და ქულებს იწერენ, რაც ამჯერად არ გამოუვიდათ. როგორც კი საკითხს პრინციპული დატვირთვა მიეცა, მივიღეთ სათანადო პასუხი - 70\30-ზე. ოპოზიციის წარმომადგენლები მზად იყვნენ მარცხისთვის და იმიტომ დაეანონსეს საჯარო რეესტრის მითიური ჩართულობა ამ პროცესში.

- ექსპერტებმა წამოაყენეს გარაუდი, რომ სააკაშვილი სამშობლოში გამოუშვა ზელენსკიმ, რათა რუსებთან ომის დროს აქედან გაეხსნა მეორე ფრონტი.

- ამაშია საქმე, ამიტომ ვახსენე საგარეო ვექტორი. საქართველოს მოსახლეობამ ნათლად აღიქვა, რა გველოდა, თუკი სააკაშვილი ისევ დაიბრუნებდა ხელისუფლებას. ამ ომმა კიდევ ერთხელ გაახსენა ყველას, რა მდგომარეობაში აღმოვჩნდით 2008 წელს. გაიაზრეს ოპოზიციის ტყუილები, თვალთმაქცობა, შეაფასეს რეალობა და ისე მიიღეს საბოლოოდ გადაწყვეტილება. მე ვესაუბრე ჩემს უკრაინელ მეგობრებს, რომლებმაც მადლობა გადამიხადეს დახმარებისთვის. მათივე თქმით, ჰუმანიტარული და სხვა სახის დახმარებების პროცენტული დაანგარიშებით, საქართველო ლიდერობს სხვა ქვეყნების ფონზე. ჩვენი მოცულობიდან გამომდინარე, იმდენი გავიღეთ, რაც არცერთ სხვა პარტნიორ ქვეყანას არ გაუკეთებია უკრაინის დასახმარებლად, „ნაციონალები“ კი საკუთარი „ჯიბის“ ტელევიზიებით რასაც ამბობენ და გვაბრალებენ, კარგად იცით. სიმართლე კარგად იციან უკრაინაშიც.

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «გაზეთი აჭარა და ადჭარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიგოლ ფეოდოროვის ქ. №2ბ
ტელ: 27-13-31
აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 4/04/22, 22 10 სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

ჩემი შემოქმედება სამშობლოს სიყვარულითაა გაჯერებული

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

ცნობილ პოეტს, არაერთი პოეტური კრებულის ავტორ ***გურამ არძენაძეს (არსენაძეს)*** *80 წელი შეუსრულდა. იგი გაზეთ „აჭარის“ სტუმარია.*

- ბატონო გურამ, როგორც ვიცი, თქვენი პირველი ლექსები ჩვენს გაზეთში დაიბეჭდა.

- ჩემი პოეტური შემოქმედების პირველი გზამკვლევები იყვნენ ქედის ადრინდელი რაიონული გაზეთი „კოლმეურნის ხმა“ და რესპუბლიკური გაზეთი „საბჭოთა აჭარა“. სტუდენტობის წლებიდან ჩემი ლექსები იბეჭდებოდა გაზეთებში „ნორჩი ლენინელი“, „სოფლის ცხოვრება“, „ახალგაზრდა კომუნისტი“, „სახალხო განათლება“ და სხვა. საუკუნოვან გაზეთ „აჭარასთან“ კვლავ მაკავშირებს მრავალფეროვანი შემოქმედებითი საქმიანობა.

- ვინ იყო თქვენი ლექსების პირველი შემფასებელი?

- აწ განსვენებული, საქართველოს დამსახურებული პედაგოგი ციცინო სიხარულიძე, რომელიც ქართულ ენასა და ლიტერატურას მასწავლიდა.

- რა ურთიერთობა გაკავშირებთ ცნობილ პოეტ ფრიდონ ხალვაშთან?

- მდინარე აჭარისწყლის გაღმა-გამოღმა ორი ლამაზი სოფელია - დანდალო და გეგელიძეები. იქითა მხარე არის ჩვენი კუთხის ღირსეული მამულიშვილის, უკვდავი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის ფრიდონ ხალვაშის ადგილსამყოფელი, ხოლო აქეთა მხარე - ჩემი გამზრდელი და სამკვიდრებელ-საფლოცავი. ერთხელ ბატონ ფრიდონს ოჯახში ვეწვიე. სიხარულით შემხვდნენ მისი ოჯახის წევრებიც. დავლიეთ თითო ჭიქა ღვინო, ექსპრომტად თქმული ლექსებითაც გავეხუმრეთ ერთმანეთს. მალე ჟურნალ „ლიტერატურული აჭარის“ ფურცლებზე, სხვა დამწყებ შემოქმედთა გვერდით, ჩემი მოზრდილი ლექსი „აჭარას“ დაიბეჭდა.

- კიდევ რომელმა პოეტმა დაგლოცათ გზა ქართულ პოეზიაში?

- ეს იყო ცნობილი პოეტი, საზოგადო მოღვაწე, პროზაიკოსი, პუბლიცისტი და ლიტერატურის მკვლევარი, საქართველოს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ჯემალ ჯაყელი.

- მეუღლესთან ერთად, წლები მომავალი თაობის აღზრდას შეალიეთ. სკოლა, აღსაზრდელი და პედაგოგი რა ადგილს იჭერს თქვენს შემოქმედებაში?

- აჭარის მაღალმთიანეთიდან ქობულეთში დავსახლდით. აქ, აწ გარდაცვლილ მეუღლე მერი დიასამიძესთან ერთად, შინაარსიანი წლები მომავალი თაობის აღზრდას მოვახმარე. ვარ უმაღლესი კატეგორიის პედაგოგი. სკოლას გამორჩეული ადგილი უჭირავს ჩემს შემოქმედებაში. ამორძალივით მედგა მხარში მეუღლე მერი. მისმა ზეადამიანურმა თვისებებმა და თავდადებულმა შრომამ ბევრი ლექსი შთამაგონა. მასაც მივუძღვენი ლექსი. ჩამაგონეს, რომ დამეწერა მისდამი მიძღვნილი ორსტროფიანი ლექსი.

- ორი პოემის ავტორი ხართ. რა არის მისი მთავარი ლაიტმოტივი?

- არამარტო პოემების, ჩემი მრავალფეროვანი შემოქმედების მთავარი ლაიტმოტივი უფლისადმი მარადიული თაყვანისცემა და სამშობლოს სიყვარულია. მალე მკითხველი გაეცნობა ჩემს ახალ ლექსს „ცხადად ხილული ღმერთი“.

- თქვენს შემოქმედებას ხალხური მოტივი არ აკლია. აჭარის მთიანეთში მოღვაწე ხალხური მთქმელებიდან ვისთან გქონდათ ურთიერთობები?

- ურთიერთობა არავისთან მქონია. შორიდან ვიცნობდი დარჩიძეებელ ბინალ ფუტკარაძეს. ბავშვობიდანვე ვკითხულობდი ქართულ ხალხურ ლექსებს, პოემებს, რამაც გავლენა იქონია ჩემს შემოქმედებაზე.

- პატრიოტული მოტივი რამდენად წარმოაჩინეთ?

- ორი პოემა, ათობით ლექსი საქართველოს, მის განუყოფელ კუთხეს - აჭარას მივუძღვენი. იყო პოეტი და პატრიოტიზმი არ გამოძრავებდეს, წარმოუდგენელია. ჩემი შემოქმედება სამშობლოს სიყვარულითაა გაჯერებული.

- იშვიათია პოეტი, რომელსაც საკუთარი ყველა ლექსი ზეპირად ახსოვს...

- უფალმა ეს ნიჭი დამანათლა, რასაც დიდ სიმდიდრედ მივიჩნევ. ამაზე დიდი ჯილდოც არ არსებობს ჩემთვის.

- თქვენი პოემის გმირი უცხოეთშია გადახვეწილი. თუ გქონდათ ბედნიერება, შორეული წინაპრების შთამომავალთ შეხვედროდით?

- ჩემი ერთი პოემის გმირთა შთამომავლები მოვინახულე შორეულ ინეგოლში, კერძოდ, ჰილმიეში. ისინი ერთმანეთთან კეთილმეზობლურად ცხოვრობენ. მათგან ბევრი საცხოვრებლად გერმანიაში, იტალიაში, კანადაში გადასულა. მოვინახულე ტაო-კლარჯეთი, სხვა ისტორიული ადგილები, სადაც ცხოვრობენ არა მარტო აჭარელთა, არამედ იმერელთა, კახელთა, ლაზთა და სხვათა შთამომავლები.

- გამორჩეული მეგობრობა გაქვთ პუბლიცისტ თამაზ აბულაძესთან. კიდევ ვინ გიერთგულათ 80-წლიანი ცხოვრების გზაზე?

- დანდალოელი თამაზ აბულაძის გარდა, ქედაში მყავს ბევრი ახლო მეგობარი: ანზორ ლორთქიფანიძე, ლევან და შოთა ანანიძეები, შალვა აბაშიძე, რეზო თებიძე, სერგო სამნიძე და სხვები. მეგობრები მაცოცხლებენ და მაძლიერებენ განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ცხოვრების ერთგული თანამოდარდე დავკარგე.

- ტკივილი, რომელიც სულს გიფორიაქებთ...

- ძალიან ვდარდობ, რომ სწავლა-განათლების დონე დაეცა. ახალგაზრდობის უმრავლესობა აღარ კითხულობს წიგნებს, ჟურნალ-გაზეთებს. სწავლა-განათლება, მწერლობა, კულტურა, ხელოვნება აღარ არის ძველ სიმაღლეზე - აი, ეს მტკივა.

„ცხადად ხილული ღმერთი“

მზეა უებრო მფლობელი
დაუსაბამო სივრცისა,
სიცოცხლით დამატკბობელი,
გვირგვინი დედამიწისა.
დასტურ ლეგენდურ-მითური,
შემართება და ტალანტი,
ერთობ მძლე, მონოლითური,
მარადისობის გარანტი.
მზე ცის წიაღში მფეთქავი,
უმხურვალესი გულია,
ურიცხვ-უთვალავ მნათობთა
ალყით გარსშემორტყმულია.
ჰანგმოღუღუნე ჟრიალში
მაგიურ ბზინვით ციალებს,
ჟამთა დინების კვალდაკვალ
შეუჩერებლივ ტრიალებს.
ვით ლამპიონი ციური,
სიქველის ამბრით ნარნარებს,
ჰუმანურობით მოძეულ
მადლს და სიყვარულს
ამრავლებს.
ცისკრის კაშკაშა ვარსკვლავი
ბნელ ნოკაუტით იცილებს,
მზე ნიშნად სიხარულისა,
ცვართა მძივებით ციმციმებს.
რიჟრაჟის ბაჯაღლურ ფერთა
ფუნჯს აელვებს ცის ლაჟვარდი,
ჭიკჭიკ-სტვენას მგალობელთა
ამკობს შველ-ირმის ნავარდი.
გაზაფხულის და ზაფხულის
სტიმულია ძალა მზისა,
სარეკორდოდ გამიზნული
ალღო სართვლო მოსავლისა.
სახე, მზის სირმით ნაფერი,
სიამით მსჭვალავს მთვარესა,
ნატიფი განცდის ჟუჟუნში
თეთრად ათენებს ღამესა.
მზიურ ზეწვდომით ნათელყოფს
ჭეშმარიტება, ხალასი:
- გაუგებრობას ძირს უთხრის
მიხვედრით ბჭობა, ბაასი.
- ჰეი შენ, ადამიანო!
ხარ წუთისოფლის სტუმარი,
უფალმა გიძღვნა ქვეყანა,
სამყოფელ-დასაყუდარი.
განიშნა, რომ ყოფილიყავ
ღირსებით სახელმქუხარი,
კერა არ გაგცივებოდა,
მწუხრს არ მოეცვა ბუხარი.
მომძლავრდი, გამედიდურდი,
წამოიჭიმე მხარგაშლით,
იწყე ქორ-შევარდენივით
აღმა ქროლვა და განგაში.
რისხვა აწვიე ჰორიზონტს,
ოზონს, გრძედებს და განედებს,
ძილ-მოსვენება დაუფრთხე
ახლომდებარე პლანეტებს.
წუხს ატმოსფერო, ვითარცა
სნეული, ციებ-ცხელებით,
სამყაროს გარსი ზიმზიმებს
ამოშანთული ხველებით.
და გაგრძნობინებს, უტაქტოდ
ბოლომდე ყოფნას ვერ შეძლებ,
მალიმალ აქ რად პარპაშებ,
ვინ გიხმობს, ან რას დაეძებ?
ნუთუ არ აღწევს შენამდე
წინათმგრძნობლური ჩურჩული,
ბაჯბაჯ-თვალთვალით მოიწევს
წარღვნის მესაჭე - ურჩხული.
სივრცეს სიმშვიდე ამკვრივებს,
მზის საბინადრო - საჭვრეტელს,
ავბედით ჟამთა მჩენელთა
ნუ აბურგალებ რაკეტებს.
გულთან მიტანით იწამე
ზეშთაგონება მზიური
და დაიუფლე იდეა -
აზრები პროგრესიული.
სიხარბეს ბოლო მოუღე,
მიღწეულ - პოვნილს დასჯერდი,
ფათერაკს რომ გადაურჩე,
დედამიწაზე გაჩერდი.
დროა, განშორდე უაზრო
ბოდიალსა და ცდუნებას,
მიხედო სასოწარკვეთით
დაღვრემილ დედაბუნებას.
მზე, ზენიტური იერით,
თვალშეუდგამი ხედია,
წყალობა - უანგარობით
ცხადად ხილული ღმერთია!

გურამ არძენაძე (არსენაძე)

თავიდან რომ დაბადებულიყო, ისევ მედეა ჩარკვიანი იქნებოდა

მე-5 გვერდიდან

- მაინც რა არის უმთავრესი ადამიანის ცხოვრებაში, ზნეობრივი მცნებებიდან უპირატესი?

- უმთავრესი მაინც ქრისტეს 10 მცნების ერთგულება მგონია, რომელზე უკეთესიც კაცობრიობამ ვერაფერი შექმნა.

- ადამიანებო, სიყვარული შეაგროვეთ! – ხშირად გვესმის ეს მოწოდება, მაგრამ...

- სად არის მერე ეს სიყვარული? მურმან ლებანიძეს აქვს არაჩვეულებრივი სტრიქონები: „ცოტა სიყვარული კმარა, ცოტა სიყვარული, თვარა, რომ შეგშლის და გადაგრევს, იმისთანა სად არის... ცოტა სიყვარული კმარა, ცოტა სიყვარული, თვარა, ან ის ცოტა, ან ის ცოტა, ან ის ცოტა სად არის?!“. სახარებაში წერია: „განმრავლებითა უშჯულოებისაითა განხმეს სიყვარული მრავალთა“.

- დრო, რომელშიც ვცხოვრობთ, ტკივილებსა და საფიქრალს გვმრავლებს... მოკლედ - თქვენ და პანდემია...

- პანდემიის გახსენება არ მინდა! ცხოვრებაში რა კატაკლიზმს არ მოვესწარი წინა საუკუნის 90-იანი წლებიდან - ომით, რევოლუციებით, მიტინგებით დაწყებული და პანდემიით დამთავრებული... ვხუმრობდი, აწი აღარაფერი გამაკვირვებს, ყველაფერი გადატანილი მაქვს-მეთქი, მაგრამ არასოდეს თქვა - არასოდეს... ამ პანდემიამ გამაგებინა დეპრესია, უიმედობა და სასოწარკვეთა რა არის. აკრძალვებმა და რეგულაციებმა ნერვოზული სიტუაცია შემიქმნა და ფსიქოლოგიურად დამძაბა - ყველაფერზე ნერვები მეშლება... ახლა გამოვედი მდგომარეობიდან და იმედია, ამ პანდემიას მოუსავლეთში გავისტუმრებთ.

- ციფრულ ეპოქაში შევდივართ. ახალ ტექნოლოგიებზე, ახალ ურთიერთობებზე რას ფიქრობთ?

- ციფრული ეპოქა და პროგრესი კარგია, მაგრამ ადამიანური ურთიერთობები, სითბო, სიყვარული, თანაგრძნობა, ემოციები და სხვა სიკეთეები დაიკარგა... აბა, რა შეედრება იმ განცდას, წერილებს რომ მივიღებდით... ბარათს, კონვერტს, ასოების მოხაზულობასაც კი სხვა ესთეტიკა და გრძნობა მოჰქონდა... ამას ოდესმე „სმს“ ჩაანაცვლებს?! რა თქმა უნდა, არა.

- მოგწონთ საზოგადოება? რას შეცლიდით ჩვენი ცხოვრების წესში?

- ბევრი რამ არ მომწონს, ყველაზე მეტად კი არაპროფესიონალიზმი, სიბრიყვე, აფერისტობა, მლიქვნელობა, პირფერობა, უწიგნურობა, ზიზღი, უმადურობა, სიძულვილი, დაცინვა, მცირედმორწმუნეობა, ქილიკი, საზოგადოების ორპოლუსიანობა... ამ ყველაფრის შეცვლას შევძლებთ, თუ ერთმანეთის აზრს პატივს ვცემთ, საკუთარ თვალში დირეს შევამჩნევთ, ვიდრე სხვის თვალში ბეწვს დავინახავდეთ და როცა ყველა ჩვენს საქმეს კეთილსინდისიერად შევასრულებთ.

- ბათუმი - წინათ და ახლა. როგორ გესახებათ იგი მომავალში, ვთქვათ, ქალაქის მერად აგირჩიეს...

- ჩემს ბავშვობაში როგორი იყო, ნაწილობრივ ზემოთ ვისაუბრე... ახლა რაც არ მომწონს, ეს უზარმაზარი, მრავალსართულიანი სახლებია, სარკოფაგივით რომ არტყამს წრეს ჩემს ქალაქს. დაიფარა ზღვისპირა ზოლი, საოცრად შემცირდა მწვანე ნარგავები, დაბინძურებულია ჰაერი. ეს ძალზე მტკივნეული თემაა! მესმის ქალაქის ურბანიზაცია, მაგრამ ეს უნდა ხდებოდეს გარეუბნების და არა ძველი ბათუმის ხარჯზე... მოსახლეობას ქალაქის მერად რომ ავერჩიე, შევეცდებოდი, ყველა კვარტალში პატარა ბაღი ან სკვერი გამეკეთებინა. ქალაქს ფილტვები სჭირდება, რომელიც ყველაზე მეტად აკლია... ქუჩებს სხვადასხვა ფერად შევღებავდი და სახელსაც შესაბამისად დავარქმევდი. გვექნებოდა იისფერი, მწვანე, ფირუზისფერი, ვარდისფერი, ზურმუხტისფერი და სხვა ქუჩები - რომანტიკულიც იქნებოდა და ულამაზესი ფერთა გამა თვალს გაახარებდა.

- თავიდან რომ დაიბადოთ, რა გზას აირჩევდი,თ ვინ იქნებოდით?

- ის, ვინც ახლა ვარ, მედეა ჩარკვიანი - იგივე იდეოლოგიით, ფიქრებით, იმავე ღირებულებებითა და ღირსებით.

- დაბოლოს, წარმოიდგინეთ, რომ თქვენი ხმა ესმის სამყაროში სხვა ცივილიზაციებს, რას გასძახებდით?

- ყველაზე მტკივნეული დღეს უკრაინაში მიმდინარე ომია, სადაც უდანაშაულო ადამიანები ვიღაცების ამბიციებს, პატივმოყვარეობასა და სიგიჟეს ეწირებიან, სადაც ადამიანები კარგავენ მთელ ცხოვრებას, იმედს, სითბოს, სიყვარულს და ყველაზე ძვირფასს - სიცოცხლეს. ყველაზე მეტად მინდა, რომ ამქვეყნად აღარ იყოს ომი, ბოროტება, სიძულვილი, სიღარიბე, გაჭირვება და ავადმყოფობა... რაც მთავარია, არანაირი იდეა და ამბიცია არ ღირს არცერთი ბავშვის ერთ ცრემლადაც კი, ამიტომ... გვიყვარდეს ერთმანეთი, რადგან ჯოჯოხეთი არის ტკივილი იმის გამო, რომ აღარ ძალგვიძს სიყვარული.